№ 6 | 1877—1905 | № 6

სამშაბათი, 22 თებერვალი. | სამშაბათი, 22 თებერვალი.

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი**: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.**

## შეერთება.

დღეს ისეთი მღელვარე და აბობოქრებული დროა, რომ ყველას ნერვები დაჭიმული გვაქვს და არ ძალ-გვიძს სულიერად მოსვენება. რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, როგორ შეიცვლება ცხოვრება, რა მდგომარეობაში იქნება ახლო მომავალში ჩვენი ხალხი, საზოგადოება, მოგვიწევს რამე თუ არ მოგვიწევს რუსეთის მოსალოდნელ ცვლილებაში, რა გზას უნდა დავადგეთ, რა უნდა ვიზრუნოთ, აი, საკითხები, რომლებზედაც, უეჭველია, ფიქრობს არა ერთი და ორი ჩვენი მკითხველი.

მით უფრო მეტის ინტერესითა და გამუდმებით უნდა ფიქრობდეს ამავე საგნებზე გაზეთი. ეხლანდელი ხანა ისეთია, რომ მოითხოვს ჩვენგან სწრაფს, დაუყოვნებელს მოქმედებას. ეს მოქმედება უმთავრესად უნდა გამოიხატოს ჩვენი ხალხოსნურ—პოლიტიკურ საჭიროებათა გამორკვევაში და ამ საჭიროებათა ხმამაღლა და ენერგიულად განცხადებაში. ეხლა წინანდელი სიჩუმის და მალულობის თამაშის დრო აღარაა და შეგვიძლია ხათლად და დაუფარავად გამოვთქვათ ჩვენი გულის ნადები. ეს გულის ნადები უფრო სავსებით მჟღავნდება, როცა მას გამოსთქვამს არა კანტი-კუნტად ერთი ან ორი ინტელიგენტი, არამედ მაშინ, როცა მსჯელობასა და თათბირში მონაწილეობას იღებს მრავალი ხალხი. კრებების გამართვისა და ჩვენ მოთხოვნილებათა გამორკვევის საჭიროებაზე უთითებს დღეს ქვევით კმითხველს ბ-ნი ფრიდონი, რომელიც გვამცნევს, რომ სიტყვა „ბანკეტი“ ამ ჟამად «საშიში» აღარაა და მრავალ-რიცხოვან ყრილობების მოხდენა, შემუშავებულ სახალხო მოთხოვნილებათათვის მხარის დასაჭერად და გავლენის მისაცემად, შესაძლებელი და სასარგებლოც არის...

მაგრამ ჩვენ ამითაც არ უნდა დავკმაყოფილდეთ ეხლანდელ ვითარებაში. რასაკვირველია, საჭიროა საკუთარ მოთხოვნილებათა გამორკვევა და გამოცხადება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო შეკავშირებულია გეოგრაფიულად მთელს კავკასიასთან. როცა რუსული პრესა ჩვენს „განაპირა მხარეზე“ ლაპარაკობს, ყოველთვის საერთოდ კავკასიას იხსენიებს, და, უეჭველია, ასე იქნება ეს მაშინაც, როცა ამ მოსალოდნელ ცვლილების დროს განაპირა ქვეყნებზე მსჯელობა და თათბირი წარმოსდგება. როგორც დეპეშებიდან ვიცით, კავკასიას ერთნაირი მართვა-გამგეობა და ადმინისტრატიული წყობილება ეძლევა (ნამესტნიკობა) და ამიტომ აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის განკარგებაზე ფიქრი და მოქმედება მართებთ კავკასიის ყველა ერებს,—შეთანხმებულად და შეერთებულად. მაშინ ამ ჩვენ განაპირა ქვეყნის ხმას მეტი ძალა და გავლენა მიეცემა და რუსის საზოგადოების თვალშიც მეტი ყურადღების ღირსი გახდება.

საუბედუროდ, კავკასიის ერებს თითქოს ჯერ ვერ შეგვიგნია ეს საერთო ინტერესი და საჭიროება. ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ, იძულებულნი ვართ პრაქტიკულს ცხოვრებაში ერთმანეთთან საქმეები ვაკეთოთ და დამოკიდებულება ვიქონიოთ და მიუხედავად ამისა, ამ ისტორიულ ხანაში, როცა ჩვენი საერთო ბედი სწყდება, განზე გავმდგარვართ და არ ვცდილობთ ერთმანეთთან დაახლოვებას და ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ შეთანხმებულ მოქმედებას.

ეს ისეთი შეცდომაა, რომლის გასწორება შემდეგში ძალიან ძნელი იქნება. დროა განვიკურნოთ ამ პოლიტიკურ სიბეცისაგან; დროა, შევიგნოთ, რომ ასე განცალკევებულად ყოფნით ჩვენსავე თავს ვვნებთ და საკუთარ საქმეს ვიფუჭებთ! დროა, უკიდურესი დროა, კავკასიის ერებმა ხმა ამოიღონ ჩვენშიაც რეფორმების შემოღებისა და ცხოვრების განახლებისათვის. ნუ თუ ძნელია, რომ კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან შეიკრიბნენ და შეიმუშავონ გეგმა საერთო მოქმედებისას? თვითონ უმაღლესი მთავრობა თხოულობს, რომ ყველამ გამოსთქვას თავისი აზრი, თავისი გაჭირვება და დალხინება. მაშ რა უდგას წინ ასეთ კრებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენი აწინდელ ცხოვრების გასაუმჯობესებლად? წინ უდგას ჩვენი შეუგნებლობა, პოლიტიკური განუვითარებლობა. და თუ ჩვენ ამ დაბრკოლებას ვერ მოვსპობთ და ჩვენს საერთო ვაგლახ მდგომარეობაზე ხმამაღლა და გაბედულად არ ვილაპარაკებთ, მართლა ველურები ვყოფილვართ და ულირსნი ყოველგვარ რეფორმისა და მოქალაქობრივ უფლებებისა!..

ვსცადოთ,—იქნება არც ისე შეუგნებელნი და სუსტნი ვართ, როგორც შორიდან სჩანს...

## საჭირო განმარტება.

ეხლანდელი მდგომარეობა გვავალებს, ვისარგებლოთ ყოველ შემთხვევითა და საშუალებით, რომ შევცვალოთ ჩვენის ქვეყნის დაბეჩავებული ყოფა-ცხოვრება და პირდაპირ გამოვთქვათ ხალხის სურვილები და საჭიროებანი. ჩვენი თვალის წინ ხდება საზოგადოების გამოფხიზლება. თვალსაჩინო ნაბიჯი უკვე წადგმულია წინ. რაც გუშინ აკრძალული იყო და „დანაშაულობას“ შეადგენდა,—ის დღეს დაკანონებულია უმაღლესი მთავრობის განკარგულებით. ვის არ ახსოვს ესრედ წოდებული „ბანკეტები“,—ეს პირველი გაუბედავი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის ინტელიგენციამ წარსდგა წინ. როგორის მოკრძალებით და შიშით ეკიდებოდნენ მას ჩვენში ზოგიერთი ქედ-მოდრეკილი ინტელიგენტები, მაშინ, როდესაც ჩვენი ხალხი, დიდიხანია, გაბედულად აცხადებს თავის გულის ნადებს და თავის აზრებისათვის ბევრი თავსაც სწირავს, ჩვენს ინტელიგენტებს ეშინოდათ მოსულიყვნენ თბილს დარბაზში და იქ, თავისიანებს შორის, თავის ჭირ-ვარამზე ელაპარაკნათ. და რომ ასში ერთს კიდეც გაებედნა, წასულიყო და დასწრებოდა,—ათასგვარ ხრიკებს იხმარდა, რომ უმაღლეს მთავრობასთან გასაგზავნ ქაღალდზე ხელი არ მოეწერა. „მანდ ერთ ადგილას უნდა დაწეროთ „ტოჩკა“ და თქვენ კი „ტოჩკა-ზაპიატაია“ დაგიწერიათ და მიტომ ხელს ვერ მოვაწერო“.

მაგრამ ამ თაღლითობას და საზოგადოებრივ სიკოტრესაც ბოლო მოეღო. ჩვენს გაზეთში მკითხველი წაიკითხავდა 18 თებერვალს გამოცემულს უმაღლესს ბრძანებას, რომლის ძალითაც „ნება ეძლევათ ყველას, როგორც კერძო პირთ ისე დაწესებულებასაც, რომ წარმოადგინონ მინისტრთა საბჭოში თავისი აზრი, შეხედულება და მოსაზრება სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესობის შესახებ“.

ეს საბჭო თვით ხელმწიფის თავმჯდომარეობით განიხილავს წარდგენილ მოხსენებებს... რადგანაც შესაძლებელია, რომ ჩვენის ქვეყნიდან გაგზავნონ ამ საბჭოში ჩვენის ხალხის მაგიერ ისეთი მოსაზრებანი, რაც ხალხს სრულებით არა სურს და არც წაადგება, ამიტომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, რომ უმაღლესმა მთავრობამ ერთხელ მაინც გარდაწყვეტილად შეიტყოს, რას თხოულობს ჩვენი ხალხი, რა ეჭირვება მას ამჟამად და რის დაკმაყოფილებაც მის სიკვდილ-სიცოცხლის კითხვას შეადგენს. ასეთი აზრის შემუშავება და წარდგენა შეუძლიანთ ყველა ჩვენს დაწესებულებებს და ეხლა მაინც შერცხვებათ ზოგიერთ ჩვენს ვაჟბატონებს, რომელნიც შიშის ზარს სცემდნენ ყველას, ვინც კი პატიოსანი სიტყვის თქმას მოინდომებდა. ზემოდ მოყვანილი განკარგულება ნათლად ამტკიცებს, რომ, რასაც მთელი საზოგადოება ერთობით მოისურვებს ქვეყნის საკეთილდღეოდ, ამ სურვილის დაკანონებაც აუცილებელი გახდება.

ეს განმარტება საჭიროდ დავინახეთ არა იმიტომ, რომ ჩვენ ოპტიმისტურის თვალით ვუყურებდეთ სხვადასხვა შუამდგომლობებს, არამედ იმიტომ, რომ დავანახვოთ საზოგადოებას, რომ ძალა მის თვით ერთობაში და პატიოსან მოქმედებაშია და, ვინც ამით დაიმსახურებს ყურადღებას და ღირსი იქნება, ის კიდეც მიიღებს საჭირო დაკმაყოფილებას...

ფრიდონ.

## დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

21 თებერვალი.

**ჩერდინი**, 20 თებ. გუშინ ერობის კრებამ გადაიხადა პანაშვიდი ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად და მიიღო ადრესი, რომელშიაც გამოხატულია სურვილი ხელმწიფის მოწოდებაზე იხმარონ ყოველივე საშუალება რუსეთის გაძლიერებისთვის.

**ლონდონი**, 20 თებ. ჰერცოგი კარნაუტელი გუშინ კუნძულ კიპრზე მივიდა. ბერძნებმა გადასცეს მემორანდუმი და სთხოვეს საბერძნეთთან შემოერთება. გაზ. „ობსერვატორ“-ის სიტყვით ქაირში შესდგა არაბთა პატრიოტული ლიგა, რომელსაც სახელად დაერქვა „არაბეთი არაბებისთვის“. ამ ლიგის დაარსება გამოიწვია გერმანელების მეცადინეობა ხაგრდან ხელში მცირე აზრია. ლიგამ მიჰმართა ევროპასა და ამერიკას და განაცხადა, რომ მისი საბოლოო მიზანია არაბეთის განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან და დამოუკიდებელ საკონსტიტუციო სახელმწიფოს დაარსება. ამ სახელმწიფოს საზღვრები უნდა მიდიოდეს ტიგრიდან და ეფრატიდან სპარსეთის ყურემდე, ხმელთა შუა ზღვაზე სუეცის არხამდის. ლიგას აზრად აქვს მეფედ გამოაცხადოს არაბეთის შეიხი. მექქა და მედინა ცალკე სასულიერო სახელმწიფო იქმნება. პალესტინას უნდა მიენიჭოს ავტონომია და საერთაშორისო მთავრობა. უცხოელებს მაჰმადიანების სწორი უფლება მიენიჭებათ. ლიგას არ უნდა უცხოელების დასმარება, იმედი აქვს მხოლოდ, რომ უცხო სახელმწიფოები თავის დროზე არაბეთის განთავისუფლებას წინააღმდეგობას არ გაუწევენ.

**პარიზი**, 20 თებ. მთავრობის თანხმობა კომისიისაგან წარდგენილ აზრზე ეკკლესიის ჩამოშორების შესახებ სახელმწიფოსაგან იმედს აძლევს საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთობას, რომ ეს რეფორმა სისრულეში მოვა არჩევნებამდის. მოვიდა მანჯურიიდან თავში დაჭრილი თავადი არსენი ყარაგეორგიევიჩი, სერბიის მეფის ძმა.

**ვარშავა**, 20 თებ. ტრამვაის მიმოსვლა ისევ დაიწყო. ეკკლესიები სავსეა ხალხით, ქუჩებში დიდი მოძრაობაა. მესამე ხიდის აშენება მიენდო „რუდზკის ამხანაგობას“. ვისლაზე ყინული დნება.

**ხარკოვი**, 20 თებერვალი. ცხრამეტ თებერვალს სიწყნარე სუფევდა, თუმცა წინად ხმები დადიოდა, რომ აპირობენ არა-რუსებისა და სტუდენტების გალახვასო. უმთავრეს ქუჩებზე დუქნები დაკეტილია.

**ომსკი**, 20 თებ. გლეხთა განთავისუფლების დღეს გადაიხადეს პარაკლისი რკინის გზის სახელოსნოებში. ეს პარაკლისი მოითხოვეს თვით მუშებმა, შემცირებულ სამუშაო დღის შემოღებით გახარებულებმა.

**ნოვოჩერკასკი**, 20 თებ. 19 თებერვალს სიწყნარე იყო.

**კიევი**, 20 თებ. სტამბებმა დაიწყეს ისევ მუშაობა. გაზეთები აღნიშნავენ უმაღლეს რესკრიპტს, როგორც უმნიშვნელეს საზოგადო მოვლენას.

**ერივანი**, 20 თებ. მაჰმადიანებს შეტაკება მოსვლიათ [illegible].

**კურსკი**, 20 თებ. გუბერნატორმა გამოაცხადა კურსკის მცხოვრებლებს, რომელნიც საშინლად აღელვებულნი 12 თებერვალს მომხდარ ამბებით, რომ სასტიკი გამოძიება არის დაწყებული პროკურორის მეთაურობით პოლიციის მოქმედების შესახებ, რომელსაც ბრალდება მხეცური მოქცევა მოსწავლეებთან. სულ 17 კაცი ყოფილა დაშავებული. ხუთი ახალგაზრდა გამოცხადდა შესამოწმებლად, ამათში სამს არაფერი არ ეტყობოდა, ერთს პატარა სილური ჰქონდა თვალთან და ერთს კიდევ ხელზე. დანარჩენები წასულან ქალაქიდან. პოლიციის მოქმედებას სრულს მიუდგომლობით განსჯიან. გამოძიებისაგან აღმოჩენილი ფაქტები გამოცხადდება.

**ვაშინგტონი**, 19 თებ. რუზველტმა, რომელიც გადავიდა თავის პრეზიდენტობის მეორე ხანაში, გამოაცხადა საჯაროდ, რომ ხალხმა მადლობა უნდა შესწიროს უფალს თავის ბედნიერებისათვის და კეთილდღეობისათვის. განსაკუთრებით რუზველტი საზოგადოების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ უფრო ყოველთვის ცდილობდა მშვიდობიანობის დამყარებას, სხვა სახელმწიფოებთან მეგობრულ განწყობილების ჩამოგდებას, პრაქტიკულ ქცევას, მხნეობას, თავის დაჭერას და რესპუბლიკის იდეალების სრულ ერთგულებასაც.

**რომი**, 19 თებ. მინისტრმა რანკეტიმ შეატყობინა პალატას, რომ პრემიერი ჯიოლიტი ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავს ანებებს, რის გამოც გამოდის სამსახურიდან მთელი სამინისტრო. მეფემ პასუხის გაცემა გადასდო. სამინისტრო დროებით კიდევ რჩება სამსახურში.

**ეკატერინბურგი**, 20 თებ. ერობამ შეადგინა შინა მრეწველების ორი არტელი ჯარისთვის ფეხსაცმლების გასაკეთებლად.

**სტამბოლი**, 20 თებ. პატრიარქის მეცადინეობამ მოწინააღმდეგე სამღვდელოებასთან შერიგების შესახებ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც სამღვდელოებამ უსაფუძვლო და აუსრულებელი პირობები წარადგინა პატრიარქთან.

**მოსკოვი**, 20 თებ. იმედი აქვთ, რომ ხვალ აღადგენენ მატარებლების წესიერ მიმოსვლას მოსკოვო-ყაზანის რკინის გზაზე.

**ბელგრადი**, 17 თებ. ირჩევა საქმე მეფის პირად მდივნის ბალუჯიჩისა, რომელსაც ბრალდება პაშიჩს სამშობლოს მოღალატის წამებას ბალუჯიჩმა პაშიჩს სამშობლოს მოღალატე უწოდა, ოურმე, ფინანსთა მინისტრი პაჩუ დალატე, ბალუჯიჩის სიტყვით, რადგან სამეფო საქმეებში კი, ბალუჯიჩის სიტყვით, მონაწილეობას იღებდა. ბალუჯიჩმა საყურადღებო ცნობები გამოამჟღავნა. მის სიტყვით, პაშიჩს არ უნდოდა შეემოწმებიათ საყიდელი ზარბაზნები, რადგანაც ჰქონდა გადაწყვეტილი ეყიდა ზარბაზნები იმათგან, ვინც აძლევდა 3 მილიონ ფრანკს; ამ ფულის ერთი ნაწილი საჩუქრად უნდოდა მიეცა მეფისთვის. პაშიჩი პალატაში უმეტესობის მოსამხრობად ქრთამებს ხარჯავდა. პაშიჩის ღალატი, ბალუჯიჩის სიტყვით, არც ისე ახალი არის. 1885 წ. პაშიჩმა მოიშველა ბულგარელები, რომ შესეულიყო სერბიაში და ამნაირად შეეძალა ხელი მაკედონიაში შესვლისათვის. იმავე დროს პაშიჩი სწერდა სლავიანთა საზოგადოების მდივანს პეტერბურგში ბ-ნ არისტოვს, რომ მაკედონია სამუდამოდ იქმნება დაკარგული ბულგარიისთვის, თუ ვინიცობაა ობრენოვიჩებს შერჩათ სამეფო ტახტი. ეხლა პაშიჩმა წაიყვანა მეფე სოფიაში, დაამცირა სერბია, ბულგარიასთან დასდო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც სერბიელების ინტერესები უნდა დაემორჩილოს ბულგარელების ინტერესს. მეფე ფერდინანდმა ნიშში განუცხადა ბალუჯიჩს, რომ ორივე სამეფო გვარეულობამ უნდა შეუწყოს ხელი ერთმანეთს;—სერბიის აგენტი სოფიაში სიმიჩი კი მოდის ბელგრადში და იტყობინება, რომ ბულგარიის მთავრობამ შეისყიდა მაკედონელი ჯგუფთები სერბიელების ამოსაწყვეტად მაკედონიაში.

**უმანი**, 20 თებ. უმანის ურიებმა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნეს დეპეშა და ითხოვეს ურიების გათანასწორება რუსეთის დანარჩენ ერებთან.

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

20 თებერვალი.

**სახალინი**, 20 თებ. დილის 5 ს. 28 წ. სახალინზე მშვიდობიანობაა. ნავთ-სადგურის გარშემო ზღვა მთლად გაყინულია. იაპონელები ვერ მოახერხებენ მოსვლას. მოსამსახურეთა ოჯახობა იხიზნება.

**ტოკიო**, 20 თებ. (რეიტერი). რუსებმა ჩინხენჩენიდან დახევის შემდეგ, დალინის ქედი გადაიარეს, სანლუნგში შეჩერდნენ და ოთხი დღე იაპონელების მოძრაობას ხელს უშლიდნენ. 30.000 კაცი მაშველი ჯარი მოუვიდათ, მაგრამ მაინც უკან დახევას აპირებენ, რადგან მათ იაპონელები მოგულინისკენ აწვებიან. ელიან დიდ ბრძოლას.

**პეტერბურგი**, 20 თებ. კურაპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 19 თებერვლის თარიღით: მუკდენის დასავლეთით ღამემ მშვიდობიანად გაიარა. გუშინ ტაშიჩაოსთან ჩვენი რაზმი შეხვდა მტერს, რომელიც დასავლეთიდან იერიშით მოდიოდა. აქ ბრძოლა დაიწყო. სოფ. ს[illegible] ბის სროლა. სახეპუსთან იაპონელები იერიშით წამოვიდნენ, ჩვენი სიმაგრეების მავთულების ღობესთან მოცოცება მოახერხეს, ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. კანდოლისანთან ჩვენ მარჯვენა ფრთეზე გუშინ საღამოს იაპონელების გვარდიამ რამდენიმე იერიში მოიტანა. უკანასკნელი მეათე იერიში დილის ოთხ საათზე იქმნა უკუქცეული. ჩვენს სიმაგრეებთან იაპონელთა გვამები ჰყრია. გუშინდელ ბრძოლის დროს დაიჭრა გენერალი პუტილოვი და შტაბის პოდპოლკოვნიკი გურკო. 19 თებერვალს გათენებისას იაპონელებმა დაიჭირეს სოფ. სუხუძიაპუ, დიდი ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს აგრეთვე სოფ. დიანშანპუ. პუტილოვის გორაკზე იერიში იაპონელებმა წუხელის 11 საათზე დაიწყეს, მაგრამ უკუვაქციეთ. კანდოლისანის მიდამოში იაპონელებმა ისევ განაახლეს ძლიერი იერიში და იბრძოდნენ დილის რვა საათამდის, როცა დიდის ზარალის შემდეგ მოგერებულ იქმნა უკანასკნელი მეცამეტე იერიში. მარცხენა ფრთეზე დღე და ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ღამის დეპეშა იხ. მეოთხე გვერდზე

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის ამბები.** ბრძოლის ველიდან ერთი მეორეზე საინტერესო ცნობები მოდის. თუმცა გენ. კუროპატკინი იუწყება, აქა და აქ მტრის იერიში მოვიგერეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთო, მაგრამ საქმე ამ იერიშებში არ არის. ამ იერიშების მოგერებას კუროპატკინი ვრცლად და დაწვრილებით იწერება და ბოლოში ამბობს, იაპონელებმა ესა და ეს სოფელი დაიჭირეს, ჩვენმა ჯარმა კი „ბრძანებისამებრ“ უკანა პოზიციაზე დაიხიაო. ერთ კვირაზე მეტია, რაც გენ. კუროკის ჯარი დაიძრა და ჩრდილოეთისაკენ გაემართა. კუროკი რამდენიმე დღის განმავლობაში ბრძოლით წინ მიიწევდა. რუსებს ეგონათ, კუროკი მხოლოდ თავის განაპირა მარჯვენა ფრთეს წასწევს წინ (გენ. რენენკამფის ჯარის წინააღმდეგ) და ამით დაკმაყოფილდებაო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კუროკიმ თავის მთავარი ჯარიც (ცენტრი და მარცხენა ფრთე) წინ წასწია და გენ. ლინევიჩს შეება. კუროკი განუწყვეტლივ წინ მიიწევდა, რუსებს სოფლებსა და პოზიციებს ართმევდა და ბოლოს კუროპატკინის მთელ ჯარს გვერდიდან (აღმოსავლეთიდან) მოექცა. იაპონელების ცენტრი (მარშალი ნოძუ) და მარცხენა ფრთე (მარშალი ოქუ) რამდენისამე დღის განმავლობაში ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე საარტილერიო ბრძოლა ასტეხეს და რუსების ცენტრზე რამდენიმე იერიშიც მიიტანეს. ამ დროს კუროკის გაჩაღებული ბრძოლა ჰქონდა. რუსები, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ, მთავარი ყურადღება კუროკის მიაპყრეს და იმის ჯარის შესაყენებლად რენენკამფსა და ლინევიჩს მაშველი ჯარი გაუგზავნეს. ეს ჯარი თავიანთ მარჯვენა ფრთედან (გენ. კაულბარსის ლაშქრიდან)

## სახაზინო თეატრი.

**ანტრეპრ. საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.**

სამშაბათს, 22 თებერვალს, უფროსის რეჟისორის ს. ფ. გელევერის საბენეფისოდ ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

„ნერონი“

ოპერ. 4 მოქმ, 6 სურ., მუს. რუბინშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დმიტრიევა-პოსაკოვსკაია, ტომკევიჩი, ტულლერი, ბუნაკოვსკაია, ხარიტონოვა; ბ-ნი: დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. უფ. რეჟისორი ს. გელევერი. დასაწყისი 8 საათზე.

ოთხშაბათს, 23 თებერვალს, ბ-ნ პორუბინოვსკის საბენეფისოდ, ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება „მეფისტოფელი“, ოპ. ოპერა 5 მოქმ. მუსიკა ბოიტოსი. ხუთშაბათს ქართული წარმოდგენა. კ. მესხის საბენეფისოდ. წარმ. იქნება. „რუი-ბლაზი“, 5 მოქმ. დრ. ვ. ჰიუგოსი.

ბილეთები იყიდება. გამგე ი. კელლერი.

აბონემენტის გარეშე.

**სახაზინო თეატრი.**

სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 24 თებერვალს,

→ ბენეფისი კ. მესხისა ←

ვ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ცნობილი პიესა

**რუი-ბლაზი,**

დრ. 5 მოქმ. ვ. ჰიუგოსი, თარ. პ. ყიფიანისა დ კ. მესხისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ნ. ჩხეიძე, მესხი და სხ. ბ-ნნი ვ. მესხიშვილი, მესხი, გუნია, სვიმონიძე და სხ.

რეჟის. კ. მესხი.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**მ. უ ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი**—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**გ. ა. თარხანოვი**—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აცურის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

## ტფილისის ექიმები.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩნაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**[illegible]შვილი გრიგოლ**—კოხუბეის ქუჩა, № 19.

წამოიყვანეს და ამით ეს ფრთე შეასუსტეს. იაპონელებსაც სწორედ ეს უნდოდათ: თავიანთ განაპირა მარცხენა ფრთიდან მთელი ლაშქარი (გენ. ნოგისა, როგორც რუსები იუწყებიან) დასძრეს და ჩრდილოეთისკენ გაგზავნეს. ეს ჯარი ხუნხესა და ლიაოხეს შუა მდებარე ხეობით წავიდა და მოულოდნელად სინგიტინს მიადგა. ამავე დროს გენ. კუროკისა და მარშალ ნოძუს გაცხარებული იერიშები მიჰქონდათ რუსების ცენტრსა და მარცხენა ფრთეზე. ამ იერიშებით იაპონელებმა, რუსების ყურადღება მიიპყრეს და გენ. ნოგის ჯარს ხელი შეუწყეს. მართლაცა და გენ. ნოგის ჯარი (ამ ჯარს უფროსად სხვა გენერალი ჰყავს) სინმინტინამდე ისე ავიდა, რომ რუსებმა ვერაფერი გაიგეს. როცა იაპონელებმა თავიანთ პირველ მიზანს მიაღწიეს, ტაქტიკა შესცვალეს: გენ. კუროკიმ მედგარ იერიშებს უკლო და თითქმის შეჩერდა. მარშალ ნოძუს რუსების ცენტრზე (პუტილოვისა და ნოვგოროდის გორები) განუწყვეტლივ იერიში მიჰქონდა. ნოძუს მარჯვენა ფრთისა და ცენტრის ჯარმა მიზანს ვერ მიაღწია, სამაგიეროდ იმისმა მარცხენა ფრთემ 19 თებერვალს შესამჩნევად გაიმარჯვა: ძლიერ გამაგრებული სოფელი ლინშინპუ (ლანშანპუ) აიღო, რუსების ცენტრს მარჯვნივ მოექცა და მდინარე ხუნხეზე გადებულ ხიდისკენ (სოფელ მადიაპუსთან) გზა გაიკაფა.

სანამ ნოგისა და კუროკის ჯარი წინ მიიწევდნენ, არც მარშალი ოქუ იჯდა გულ-ხელ დაკრებილი. როცა რუსებმა გაიგეს, რომ ნოგის ჯარი სინმინტინს მოადგაო, კუროკიზე არა ნაკლები ყურადღება ამ ჯარს მიაქციეს და გენ. კაულბარსის ჯარი უფრო შეასუსტეს. ამით ოქუმაც ისარგებლა და რუსებს სწრაფად მიესია. ამ რამდენისამე დღის წინად ოქუს ჯარმა ჩანტანი აიღო (ხუნხეს მარჯვენა ნაპირზეა), მუკდენში მიმავალ გზით წინ გაემართა და 19 თებერვალს გათენებისას გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ სოფელი სუხნულიაპუ აიღო. ეს სოფელი მადიაპუს (საცა ხიდია) სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, 20 ვერსის მანძილზე. აქედან სჩანს, რომ ამ სოფელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ოქუს შეუძლიან, სწრაფად წინ წავიდეს, მადიპუს ხიდი აიღოს და გენ. კაულბარსის ჯარს გზა მოუჭრას.

მუკდენიდან დეპეშით იუწყებიან, იაპონელები მადიაპუს მოუახლოვდნენ და 20 თებერვლის დილიდან ამ სოფელთან დიდი ბრძოლა ატეხილა. ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. თუ ოქუმ ეს სოფელი აიღო, ხიდსაც ხელში ჩაიგდებს და რკინის გზასაც ადვილად გადასჭრის (ამ სოფლიდან რკინის გზამდე მხოლოდ 10-ოდე ვერსია). ამრიგად მარშალმა ოქუმ რუსების ჯარს (კაულბარსისა) გზა თითქმის მოუჭრა და ადვილი შესაძლებელია, რომ რკინის გზა ხელში ჩაიგდოს და ცენტრსაც (გენ. ბილდერლინგის ჯარს) ცუ... ჯარი დიდ საფრთხეშია ჩავარდნილი.

მაგრამ თუ რუსებმა როგორმე მოახერხეს და მარშალ ოქუს მედგარი იერიშები მოიგერიეს, მაინც, სულ ერთია, ამაზე უარესი საფრთხე გენ. ნოგის ჯარისგან მოელის. ამ ჯარმა ამ დღეებში სინმინტინი აიღო, რუსებს დიდძალი სურსათი წაართვა და სწრაფად მუკდენისაკენ გაემართა. 18 თებერვალს ამ ჯარმა სადგურ ტაშიჩაომდე მიაღწია. (ტაშიჩაო მუკდენ-სინმინტინის რკინის გზის სადგურია და მუკდენიდან 25 ვერსის მანძილზე მდებარეობს დასავლეთით). გენ. კუროპატკინი იუწყება, ტაშიჩაოსთან ჩვენი ჯარი იაპონელებს შეებაო, მხოლოდ რით გათავდა ბრძოლა — არ იწერება. სამაგიეროდ გენ. კუროპატკინის მეორე დეპეშა უფრო საინტერესოა, — კუროპატკინი იუწყება, 19 თებერვალს იაპონელების მოწინავე რაზმები სადგურ მუკდენიდან 8 ვერსის მანძილზე გამოჩნდნენო. ეტყობა, ეს რაზმი სწორედ იმ ჯარს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ტაშიჩაოსთან შეება რუსებს და, ალბად, დაამარცხა და წინ წამოვიდა.

დღეს თუ ხვალ, დეპეშებმა ფრიად საინტერესო ამბები უნდა მოიტანონ.

**მომავალი ბრძოლა ზღვაზე.** „პოლიტიკენ“-ში იაპონურ გაზეთებიდან გადმობეჭდილია რამდენიმე წერილი საზღვაო საქმის მცოდნე იაპონელებისა მომავალ ბრძოლის შესახებ ზღვაზე. იაპონელები სწერენ: მომავალ ბრძოლის დროს ყველა უპირატესობა, უეჭველია, ჩვენ მხარეზე იქნება. მხოლოდ ის კია, რომ იაპონიას არა აქვს ბევრი ისეთი ნაღმოსანი, რომლის გაგზავნაც შეიძლებოდეს ოკეანეში. მაგრამ იაპონიის ადმირალებმა ეს წინდაწინვე მოიფიქრეს და საქმე ისე მოაწყეს, რომ დიდ ნაღმოსნების უქონლობა ადმირალ ტოგოს არ შეაფერხებს და ხელს არ შეუშლის. სამაგიეროდ იაპონიის ფლოტს შემდეგი უპირატესობა აქვს: იაპონიის ფლოტი თავის ბაზიდან, იაპონიიდან, იმდენად დიდ მანძილზე არ არის დაშორებული, როგორც რუსეთის ფლოტი, და არც იმდენი ტრანსპორტები სჭირდება, რამდენიც რუსებს. ამიტომ იაპონიის ფლოტი უმთავრესად რუსების ტრანსპორტების განადგურებას ეცდება. თუ იაპონიის ფლოტმა ეს საქმე მოახერხა, მაშინ რუსებს მხოლოდ ორი გზა-ღა დარჩებათ: ან უკანვე უნდა დაბრუნდნენ, ან-და პირდაპირ ვლადივოსტოკისაკენ წავიდნენ და, მაშასადამე, იაპონიის ფლოტსაც აუცილებლად უნდა შეებრძოლონ. თუ რუსები შეგვებრძოლებიან, გამარჯვებაც ჩვენი იქნება. ადმირალ კამიმურას სულ სწრაფლმავალი კრეისერები და ჯავშნოსნები აქვს. საერთოდ კამიმურას ესკადრა საათში 15 მილს გადის. რუსეთის ესკადრა-კი (72 გემი, ამათში 38 ტრანსპორტია) საერთოდ საათში 12 მილზე მეტს ვერ გაივლის. იაპონიის გემებს თავისუფლად შეუძლიანთ ხან აქედან დაეცნენ რუსებსა, ხან იქიდან და ამრიგად თითო-თითოდ ყველა ტრანსპორტებს დაუღუპავენ. ვთქვათ, რუსეთის ესკადრამ მოახერხა და ვლადივოსტოკისაკენ გაემართა. მერე? დიდ ოკეანეში რუსებს მთავარ ფლოტით ადმირალი ტოგო დაუხვდება, უკნიდან და გვერდიდან ადმ. კამიმურა და ურიუ წამოეწევიან და ბოლოს როჟესტვენსკის ესკადრას იაპონიის ნაპირებთან მისჭყლეტავენ. აი, სწორედ აქ გაუჩნდება საქმე იაპონიის პატარა ნაღმოსნებს, რომელნიც როჟესტვენსკის ესკადრასაც ისევე გაანადგურებენ, როგორც პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურეს (რ.).

**კორეა.** იაპონელებმა ჩრდილოეთ-კორეასთვისაც მოიცალეს. აქამდე ჩრდილოეთ-კორეაში ვლადივოსტოკიდან წამოსული ყაზახები თარეშობდნენ, ეხლა კი იაპონელებმა ამ თარეშს ბოლო მოუღეს და რუსებს თანდათან უკან ... ბენ გენზანიდან: იაპონიის ფლოტი და ტრანსპორტები გენზანის მახლობლად, ლაზარევის ნავთსადგურთან გამოჩნდნენ. გენზანში გახურებული მუშაობაა: ქალაქსა და ნავთსადგურს ამაგრებენ. ამბობენ, სიონჩინში იაპონიის ჯარი გადმოვიდაო. იაპონელებმა ხამხინის ჩრდილოეთიდან რუსები განდევნეს და საჩქაროდ ტელეგრაფს აკეთებენო. ეტყობა, იაპონელები კორეიდან ყაზახების განდევნას არ დასჯერდებიან და ვლადივოსტოკისაკენ გასალაშქრებლად ემზადებიან (რ. ვ.)

**პორტ-არტურის წარსულიდან:** „რუს. სლოვო“-ში სავოსტიცკი დაჟინებით ამტკიცებს, რომ პორტ-არტური იაპონელებმა აიღეს და არა ჩაიბარეს. პორტ-არტური მტერს არ დანებებია; პორტ-არტური იაპონელებმა ძალით აიღეს. სანამ გენერალი სტესელი გენ. ნოგის წერილს გაუგზავნიდა და შერიგებას მოსთხოვდა, მინამდე ციხე ფაქტიურად უკვე აღებული იყო. ამას ყველა პორტ-არტურელი ამტკიცებს.

პორტ-არტურში ურიცხვი მშიშარი და მხდალი მეციხოვნე იყო სწორედ ამიტომ უსაყვედურებენ სტესელს, თქვენ ციხეს კი არ უკდებდით ყურსა, არამედ სარდაფებში დაძვრებოდით და დამალულებს ეძებდითო.

ერთხელ სტესელს პორტ-არტურში შემდეგი ბრძანება გაუცია: დღეს ქალაქი დავიარე და უსუფთაობა შევამჩნიე. ბრალი კომისარს ვერშონინს აძევს, რომელიც დიდ ჯამაგირს კი იღებს (24 ათას მ.), მაგრამ დღე და ღამ მიწურში იმალება და ზევით მხოლოდ 20-ში ჯამაგირის მისაღებად ამოდის. ვერშინს ვუბრძანებ, ზევით ამოვიდეს და თავის საქმეს მიჰხედოს.

ციხის აღების შემდეგ სტესელს ჰკითხეს:

— მართალია, ვითომ თქვენ გენერალს ნოგის თქვენი ორი საყვარელი ცხენი აჩუქეთ?

— დიაღ, დიაღ, — უთქვამს სტესელს, — როგორ არა, ვაჩუქე. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ნოგი ამ ცხენებს, სულ ერთია, წაიყვანდა, რადგან კაპიტულიაციის პირობით ყველაფერი იაპონელების ხელში უნდა გადასულიყო. მეც ავიღე და ვაჩუქე! (რ. ს.).

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

**ერევანი,** 21 თებერვალი. 20 თებერვალს ქუჩაში ერთმანეთს წაეჩხუბა ორი თათარი; ორივემ რევოლვერები იხმარა. შეგროვდა ხალხი და ჯერ კარგად არ გაეგოთ საქმის გარემოება, რომ დაიწყეს რევოლვერების სროლა ჰაერში და მოჩხუბრებისაკენ. დუქნები დაუყოვნებლივ დაჰკეტეს, ვაჭრობა შესწყდა. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა. გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და საპატიო მოქალაქენი, სომეხ და მაჰმადიან სამღვდელოებასთან ერთად, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ხალხს აშოშმინებდნენ. სროლის დროს მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე კაცი, სომეხი და თათარი. სამღვდელოებისა და გუბერნატორის მეცადინეობის წყალობით, ქალაქში სიწყნარე დამყარდა. ღამემ წყნარად გაიარა. დღეს დილით, 21 თებერვალს, განახლდა უწესოება და სომხებსა და თათრებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე კაცი. ნამდვილად რამდენი, არ იციან. ღონისძიება მიიღეს სომხებსა და თათრებს შორის ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად.

## ახალი ამბავი

✦ კავკავის რკინის გზის სადგურს როსტოვზე ჟანდარმთა პოლიციას ამ დღეებში დაუპატიმრებია და პასუხის-გებაში მიუცია თევდორე პ... რომელსაც ... ხარის მხარეში მიჰქონდა თურმე **სამი ათასი ყუმბარა და პატრონა,** აზნაური **გრიგოლ გაბუნია,** რომელსაც ამიერ-კავკასიაში მოჰქონდა **ორი ათასი ყუმბარა და თოფის პატრონები,** თერგის მხრის მცხოვრებნი იზრაილ არსალუკოვი და ინზა მასაევი, რომელთაც გროზნოს ოლქში მიჰქონდათ ორი ათასი **ყუმბარა და ტყვია-წამალი,** ბაქოს გუბერნიის მცხოვრებნი აბრაჰიმ-ხალიმ-ჯევათ-ოღლი და ალა-ბაბა-აბდულ-ქერიმ-ოღლი, რომელთაც ბერდანის 90 პატრონა და თოფის წამალი მიჰქონდათ, გროზნოს ოლქის მცხოვრებნი დუდუოჩაევი და ისაბარო ხანოვი — მიჰქონდათ 1,500 ცალი რევოლვერის პატრონა, და გლეხი პლატონ შარმაევი, რომელსაც მიჰქონდა 60 გირვანქა თოფის წამალი და ორასი რევოლვერის პატრონა. ყველანი სადგურ როსტოვზე დაიჭირეს და დაატუსაღეს.

✦ ოფიციალურ გაზ. „კავკაზ“-ში **დაბეჭდილია შემდეგი განცხადება ტფ. გუბერნატორისა:** „კვირას, 20 თებერვალს, დილით მოსწავლე ახალგაზდობის ერთმა ნაწილმა დაარღვია წესიერება გოლოვინის პროსპექტზე. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნული იყო პანაშვიდი ბაქოში მომხდარ ამბების დროს დახოცილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ მოწაფეთა დიდმა ჯგუფმა მორთო ყვირილი და გაემართა გოლოვინის პროსპექტისაკენ და, თუმცა პოლიცია არიგებდა და სთხოვდა დაშლილიყვნენ, მაგრამ ხალხმა არ გაუგონა და მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როცა დაინახა მოახლოვებული ყაზახთა რაზმი. თუმცა ასე აშკარად დაარღვიეს წესრიგი, მაგრამ მე წინადადება მივეცი პოლიციას, რომ დაეშალა მანიფესტანტთა ჯგუფი მხოლოდ ჩაგონებითა და დარიგებით, რადგანაც ჯგუფი უმთავრესად შესდგებოდა მცირე-წლოვან მოწაფეთაგან, — და არ ეხმარა ძალა მანიფესტანტებზე. ჩემი განკარგულება პოლიციამ სავსებით შეასრულა. რათა ამგვარი მოვლენა ხელახლა არ განმეორდეს, ჩემ ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხ მივმართო მოწაფეთა მშობლებს და ვთხოვო, ჩააგონონ თავიანთ შვილებს, რომ არ განიმეორონ კვლავ ასეთი უწესოება. დარწმუნებული ვარ, მშობელთა დარიგება შვილების უმრავლესობაზედ გავლენას იქონიებს და შემდეგში აღარ დაარღვევენ წესიერებას. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიცია იძულებული გახდება, ბრბოს გასაფანტავად კანონში ნაჩვენები ყოველგვარი ღონისძიებანი მიიღოს“.

✦ კავკავის სააქციონერო საზოგადოების რკინის გზის გამგეობას ყველა სახელოსნოების მუშებისათვის **ჯამაგირი მოუმატებია.** სულ მომატებულია **48,000 მანათი.** ამის შემდეგ გაფიცულ მუშებს განუახლებიათ მუშაობა.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტროსგან** ტფილისის **გუბერნატორს მიენიჭა უფლება თვითონ დაამტკიცოს სხვადასხვა საზოგადოებების** წესდება, რათა აღარ გაიგზავნონ ხოლმე სამინისტროში განსახილველად; ამასთანავე სამინისტრომ გამოუგზავნა ტფილისის გუბერნატორს სამინისტროს მიერ შემუშავებული რამოდენიმე ნორმალურ წესდება და სთხოვა, წესდებათა დამტკიცების დროს იხელმძღვანელოს ნორმალურ წესდებით.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ 500 მანათი გადასდო** ჩვენის სცენის განსვენებულ მოღვაწეთა ბარ. ავალიშვილისა და აქსენტი ცაგარლის საფლავებზე ძეგლების დასადგმელად. ძეგლის გეგმის შედგენა გამგეობამ მიანდო ერთ ქართველ მხატვარს.

✦ რადგანაც ტფილისის **საბაღოსნო სკოლის ბაღში** ამ ბოლოს დროს ხეხილისა და ვაზის ავადმყოფობამ შესამჩნევად იმატა, ამიტომ სკოლის სამზრუნველოს განუზრახავს **სამუდამოდ მოსპოს ამ ბაღში მიწის მუშაობა;** სამზ... ... მამული აიღოს იჯარით და მომავალ გაზაფხულს იქით გაისტუმროს სკოლის შეგირდები სამუშაოდ.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიმართა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში და სთხოვა, **ამერიკულ ვაზის სანერგეებიდან გლეხობას** მიეცეთ ნება შეღავათიანი პირობებით გამოიტანოს ამ ვაზის რქაო.

✦ ტფილისის **სახაზინო თეატრის დირექციამ** წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას მოხსენება **სახაზინო თეატრის მდგომარეობის შესახებ,** ამ უკანასკნელის წლების პრაქტიკამ ნათლად დაგვანახვა, რომ სახაზინო თეატრში არავის შეუძლიან უზარალოდ იქონიოს ანტრეპრიზაო; ამიტომ დირექციის აზრით, უსათუოდ უნდა დაენიშნოს ანტრეპრენიორებს მთავრობისაგან სუბსიდიებიო.

✦ **ტფილისის სახაზინო თეატრის დირექციაში** აღძრულია კითხვა იმის შესახებ, ... დირექციას მიენიჭოს უფლება შეინახოს ორკესტრი და **ხორო.** ამასთანავე დირექციამ აძლიოს ჯამაგირი მოსამსახურეებს და მუდმივი მოსამსახურეებიც იყოლიოს; დირექციავე აპირობს აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ის კანონები, რომელიც არსებობს მოსკოვის პეტერბურგისა და ვარშავის სახელმწიფო თეატრებისთვის, შემოღებულ იქმნას ტფილისის თეატრშიაც.

✦ რადგანაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ მომავალ გაზაფხულსა და ზაფხულს **შეუძლებელია** განაგრძონ **მუშაობა თავად ერისთავის მამულში — კასპში** საბაღოსნო სკოლის შეგირდებმა, ამიტომ სკოლის ადმინისტრაციას განუზრახავს აჰყაროს ყველა ის მოწყობილობა, რომელიც შარშან გააკეთა შეგირდების თავშესაფარად.

✦ ქალაქის ინჟინერმა კოვნოკიცკიმ სთხოვა ტეხნიკოსებს და ხუროთ-მოძღვრებს, რომ ამიერიდან **სახლების ბანის მილები ქვაფენილებში იქმნას ჩატანებულიო,** რადგანაც წვიმის დროს წყალი ეფინება ქვაფენილებსა და გამვლელ-გამომვლელს თავზედაც დასდისო.

✦ დღეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი მელიქიშვილი** თავად-აზნაურთა საქმეების გამო პეტერბურგს მიდის.

✦ ქალაქის გამგეობა სთხოვს მე-7-ე ნაწილის ბოქაულს, **ალიხანოვის სახლიდან,** რომელიც იმყოფება ავლაბრის შესახვევში **№ 3,** დაუყონებლივ **გამოიყვანოს ყველა მდგმური,** რადგან ამ სახლის ბანი, დღეს თუ ხვალ, შეიძლება დაიქცესო.

✦ **ქალაქის არხების ახალი წესები** ისეთი გაუგებარია და შეკვეცილი, რომ სრულიად არ ეთანახმება ქალაქისა და სახლის პატრონების მოთხოვნილებათ. ამიტომ ქალაქის მოურავი სთხოვს ქალაქის ინჟინერს კოვნოიცკის, გადაათვალიეროს ეს წესები და შეუხამოს დროსა და ადგილის მოთხოვნილებას.

✦ გორის მაზრის უფროსი აუწყებს ტფილისის გუბერნატორს, რომ **სოფელ შინდისში თავი იჩინა წითელამაო.** ამ მოკლე ხანში ავად გამხდარა 14 კაცი.

✦ **დაბა სურამში საკვირაო სკოლის დასაარსებლად შარშან** გამართულ იქმნა **წარმოდგენა,** რომელმაც ცოტაოდენი შემოსავალი შემოიტანა. საკვირაო სკოლის ნებართვა კი **ჯერჯერობით** არ მიუღიათ. როგორც გავიგეთ, სურამელებს ხელმეორედ აღუძრავთ შუამდგომლობა.

✦ **უსახელო საზოგადოება** სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ დააჩქარონ ელექტრონის ვაგონების ვატმანებისთვის ინსტრუქციის დამტკიცება.

✦ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი ბრომელი, გუბერნატორის ბრძანებით, გაიგზავნა **მანგლისში** დაათვალიეროს ამ საავადმყოფო ადგილის სანიტარო მდგომარეობა.

## ქუთაისის ამბავი

**სასწავლებელთა მდგომარეობა**

აქ ამ დღეებში სასკოლო საქმეების მოსაწესრიგებლად ჩამოვიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ლევიტსკი. 13 თებერვლისათვის მან გიმნაზიის დირექტორს მოაწვევინა უმაღლეს კლასის მოწაფეთა მშობლები მოსალაპარაკებლად. საზოგადოება დიდძალი დაესწრო, ყველას აინტერესებდა, აბა როგორ დაგვამედებს მთავრობის წარმომადგენელი და რა მალამოს მოსცხებს ჩვენი სკოლების იარებსო. კრების გამხსნელი ლევიტსკი შეეკითხა მშობლებს: რა მიზეზია, რომ აქაურ შეგირდებს სწავლაზე ასე გული აუცრუებიათ, სასკოლო დისციპლინას აღარ ემორჩილებიან, მოაქვთ და ისვრიან კლასებში „ხლოპუშკებს“, სხვადასხვა სიმძაფით აყრო...

## ფელეტონი

### პოლონეთის მდგომარეობა.

ამ ცოტა ხანში ქ. ლვოვში დაიბეჭდა პატარა წიგნაკი, რომლის ავტორი, როგორც პოლონელები ამბობენ, პოლონეთის თანამედროვე და უდიდესი მწერალი — ჰენრიკ სენკევიჩია. ეს წიგნაკი გაზეთ „რუს“-შია ცალკე წერილად დაბეჭდილი და მისი გაცნობა ჩვენთვისაც ბევრის მხრით საინტერესო და საგულისხმიეროა.

„მე მომავალის პროგრამის შედგენა არ მინდა, — ამბობს დიდებული მწერალი, — მე მინდა მხოლოდ შეძლებისა-და გვარად ზოგიერთა მოვლენა გამოვარკვიო და იმ ფაქტების ნამდვილი მნიშვნელობა ავხსნა, რომელთაც ზოგიერთნი განზრახ აზვიადებენ, ამახინჯებენ და ამით ცეცხლზე ნავთის გადასხმა და პოლონელთა და რუსთა საურთიერთო დამოკიდებულების გამწვავება უნდათ.

რუსეთში პოლონეთის ერი მუდამ ტანჯვა-წვალებაშია. მას შემდეგ, რაც პოლონეთი რუსეთს შეუერთდა, ეს ტანჯვა-წამება თანდათან მატულობს. თქვენმა პოლიტიკოსებმა და პუბლიცისტებმა პოლონეთის ამგვარი მდგომარეობა ძალიან კარგად იციან, მაგრამ მაინც ირწმუნებიან, რომ ამის მიზეზი პოლონეთის აჯანყებებიაო. ეს პასუხი კი არ არის, სიტყვის ბანზე აგდებაა. ჯერ ერთი: ის ერი, რომელიც ერთ დროს დიდებულ სახელმწიფოს შეადგენდა, უეჭველად დაცემულ და გახრწნილ ერად უნდა ჩათვლილიყო, თუ იგი თავის ბედს შეურიგდებოდა, თავის სახელმწიფოს აღსადგენად უკანასკნელ ძალღონესა და საშუალებას არ იხმარდა. მეორე: რუსეთმა, ე. ი. სლავიანთა წარმომადგენელმა პოლონეთის ასაკლებად გერმანიასთან კავშირი შეჰკრა და პოლონეთის სისხლი ანთხევინა. ყოველი პოლონელი ამ ამბის გაგონებაზე სიბრაზით სისხლის ცრემლით ტიროდა და ეხლაც ტირის. მესამე და უმთავრესი: როგორ იქცეოდა ხოლმე რუსეთი პოლონეთის აჯანყების შემდეგ? რუსეთის მთავრობა გამარჯვების შემდეგ არც ერთხელ არ მოქცეულა დიდსულოვნურად და ყოველთვის შურისძიების გზას დაადგებოდა ხოლმე. რუსეთი აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ ყოველთვის პოლონელთა უფლებებს ზღუდავდა და აჯანყებულთაც სასტიკად სჯიდა, მაგრამ არც ამას სჯერდებოდა და მომავალ თაობასაც სიცოცხლის გზას უკრავდა, სულს უხშობდა და წინდაწინვე ისეთნაირ ცხოვრებას უმზადებდა, რომ უიმედობითა და სასოწარკვეთილობით მოცული მომავალი თაობა გზას ველარ პოულობდა. ბოლოს, 1863 წლის აჯანყების შემდეგ, პოლონეთს ყოველგვარი უფლება წაართვეს, — ადგილობრივ თვითმმართველობის ნატამალიც კი გაჰქრა. ყოველ პოლონელს ისე ექცეოდნენ და დღესაც ისე ექცევიან, როგორც ბოროტ მოქმედსა და სახელმწიფო დამნაშავეს. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის არის, რომ ამ პოლონელის ძარღვებში პოლონელის სისხლი ტრიალებს...

ჩვენი ქვეყანა გაივსო ბიუროკრატებით, რომელთაც საზოგადოების თვით მოქმედება ისეთნაირის ენერგიითა და სიმხნევით შეზღუდეს, რომ ამის მზგავსი მაგალითი მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება. თუ ბიუროკრატია თავის სამშობლოში, ე. ი. თვით რუსეთში ისეთ მძიმე ლოდათ დააწვა საზოგადოებას, რომ ირგვლივ მის წინააღმდეგ მხოლოდ უკმაყოფილება, ჩივილი, ზიზღი და მძულვარება ისმის, რაღა ხეირი უნდა დაეყარა და რაოდენი უზომო ტანჯვა, წვალება და წამება უნდა მიეყენებინა პოლონეთისათვის, რომელიც მისთვის ენისა, ჩვეულებებისა, სარწმუნოებისა და რწმენით უცხო და გაუგებარი ერი იყო. ბოლოს ბიუროკრატიამ იქამდე მიაღწია, რომ თავის წინააღმდეგ მთელი პოლონეთი აამხედრა და გადაიმტერა. ეხლა ყოველი პოლონელი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მიერ დანიშნული მთავრობა მთელის პოლონეთისა და ყოველ პოლონელის მტერი და მოძულეა. მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულება ბოროტია, საძაგელია და ყოველი დღე, ყოველი საათი უფროდაუფრო აგანიერებს და აღრმავებს იმ უფსკრულს, რომელიც ორს ერს ერთმანეთს აშორებს და ღუპავს.

ამგვარ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბიუროკრატია ხელსაც არ ანძრევდა. პირიქით, ცდილობდა, რომ ხალხი უფრო გაებოროტებინა და მძულვარებაც გაეძლიერებინა. ყოველი მოხელე, რომელიც თავის უკანონო ქცევით პოლონელების გარუსებას ხელს უწყობდა, ერთგულ პატრიოტად ითვლებოდა. ამგვარმა პოლიტიკამ უკანონობას მოხელეთა აუტანელი თვითნებობა და ძალმომრეობა დაუმატა. ძველსა და კულტურულ პოლონურს ენას ზიზღით იხსენიებდნენ. ყველამ კარგად იცის, რომ სახელმწიფოს ზოგ პროვინციაში პოლონურ ენაზე ლაპარაკი სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა. თვით პოლონეთში გერმანულისა და სხვა უცხო ენის ხმარება ნებადართული იყო, პოლონურისა-კი არ შეიძლებოდა. სასამართლოებში და სხვაგანაც გაბატონდნენ პოლიტიკანები, რომელთაც არც ადგილობრივი ენა იცოდნენ, არც ადგილობრივი ჩვეულებანი და არც ხალხის საჭიროებისა ესმოდათ რამე.

რაც შეეხება სკოლას, უნდა მოგახსენოთ, რომ თვით რუსეთშიაც-კი სკოლა საზოგადოების იარა გახდა და აბა რაღა უნდა ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში! პოლონეთის სკოლაში ბიუროკრატიულისა და „ჩინოვნიკურ“ რეჟიმის გარდა გამეფებულია ერთა შორის სიძულვილის დამყარებისა და უმთავრესად-კი — პოლონელების გარუსების პოლიტიკა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ პოლიტიკამ სულ მთლად მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო: უკანასკნელ ხანს შეჰქმნა ისეთი თაობა, რომელსაც რუსეთი და საზოგადოდ ყოველივე რუსული საშინელისა და აუწერელის ძალით სძულს და ეზიზღება. ეს საკვირველიც არ არის: ახალგაზდობა ჰხედავს, რომ რუსებს სძულთ იმის მშობლიური ენა, სარწმუნოება, სისხლი, და თვითონაცა სძულს და ეზიზღება რუსული ენა, სისხლი და სარწმუნოება; ახალგაზდობა ხედავს, რომ სკოლა მეცნიერებას სდევნის და ამიტომ სკოლის წარმომადგენელთ პატივს არა სცემს; ხედავს, რომ რუსები მმართველნი და აღმზრდელნი-კი არ არიან, არამედ პოლიციური აგენტები და ჯაშუშები; ხედავს იმათს გახრწნილებას, უვიცობას, ფორმალიზმსა და უკანონობას; ხედავს იმათს კადნიერებას, თავხედობას, მექრთამეობას. ხედავს ყველა ამას და თავის სიძულვილს რუსეთისადმი ზიზღსაც ზედ უმატებს.

გერმანიის მართვა-გამგეობა პოლიტიკისა და ზნეობის მხრივ სამარცხვინოა, მაგრამ გერმანელები, რაც უნდა იყოს, კარგი ადმინისტრატორები მაინც არიან. რუსი მმართველები და ადმინისტრატორები კი ოსმალებს სულაც არ დაუვარდებიან.

სწავლა-განათლება პოლონეთში ისეთსავე ყოფაშია, როგორშიაც ამ ნახევარ საუკუნის წინად იყო. ყოველნაირ კერძო ინიციატივას, რომელსაც მიზნად მხოლოდ განათლების გავრცელება აქვს, წინ ეღობება ბიუროკრატია, განგებ და განზრახ გზას უხშობს და ხელს უშლის, ინიციატორებს კი პოლიტიკურ დამნაშავეთა სიაში აქცევს. იგი ამ ქვეყნის მტერია და ერს სამარის ლოდივით აწევს კისერზე. აქაური ბიუროკრატია სწორედ იმის ბრალსა სდებს სხვას, რასაც თვითონ სჩადის. მთელ პოლონეთში ბიუროკრატიამ ყველაფერი, რასაც კი თავის კლანჭი გაჰკრა, — ყირამალა გადააბრუნა, დაამახინჯა, დაასახიჩრა და ყველას, ვინც კი ბიუროკრატიის მიერ დამახინჯებულ საქმის გამოსწორება სცადა, განზრახ ხელი შეუშალა და გზაზე გადაეღობა.

პოლონეთში რუსეთის პოლიტიკამ ის გააკეთა, რომ რუსეთთან დაახლოვებისა და შეკავშირების მაგიერ პოლონეთი უფრო დაშორდა და ზურგი შეაქცია იმ ქვეყანას, რომელსაც მისი განადგურება და ქვეყნის პირიდან აღგვა უნდოდა. გარუსების პოლიტიკამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ პოლონეთი გაალატაკა, გააღარიბა, დაარბია, დააქცია, გაახრა და თავის თავი შეაძულა და შეაზიზღა.

პოლონეთის გამგებელნი პეტერბურგის უმაღლეს მთავრობას ატყობინებს, რომ პოლონეთში რაღაც ამბავიაო. პოლონელებს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის დამარცხება უხარიანთ და იაპონელებს თანაუგრძნობენო. ვთქვათ, ეს მართალია, მაგრამ რისგან მოხდა, რომ პოლონელები თანაუგრძნობენ იმ იაპონელებს, რომელნიც რუსებთან ერთად ათასობით პოლონელებსაც ხოცავენ და ამახინჯებენ? უკვე 40 წელიწადია, რაც თქვენ, რუსები, პოლონეთს განაგებთ, ამ ქვეყანას, როგორც გინდათ, ისე ატრიალებთ, ბურთივით ათამაშებთ და მერე რა მოიმკეთ? მაშ თქვენ მხოლოდ ის გააკეთეთ, რომ ყოველს პოლონელს რუსეთისადმი სიძულვილი შთაუნერგეთ, განა? მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: რაც დასთესეთ, იმასვე იმკით ეხლა...

X.

### მოქალაქეთა უფლებები ინგლისში.

ინგლისელ ხალხის სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლება არის დამყარებული კანონზე, რომელიც გამოიცა 1679 წ. და რომელსაც ჰქვია სახელად Habeas Corpus Act.

პირველად-კი გამორკვეული შეიქმნა ვრცლად ინგლისელ ერის საპოლიტიკო უფლება 1215 წელს, როდესაც აჯანყებულმა ხალხმა იარაღით ხელში მოსთხოვა მეფეს ხალხის თავისუფლება.

მეფეც შეიქმნა იძულებული დაეთმო აღელვებულ ხალხისთვის და რუნნივენდის მინდორზე მოაწერა ხელი კანონს, რომელსაც დაერქვა Magna Charta Gibertatum, — უფლებათა დიდი ქარტია, სიგელი,

ამ სიგელში მოთავსებულია 63 მუხლი, რომლებშიაც უფრო საგულისხმოა მუხლები 12, 14, 39 და სხ. — რაც და მეცხრე მუხლში, მაგ., არის ნათქვამი, რომ მეფეს ან ადმინისტრაციას არა აქვთ უფლება შეეხონ ადამიანის პიროვნებას, არ შეუძლიათ თავის ნებით დააპატიმრონ ვინმე, გადაახდევინონ ჯარიმა, განძევონ და საზოგადოდ დასაჯონ როგორმე, — საამისოდ არის საჭირო ყოველთვის საერო კრების გადაწყვეტილე-

ლებენ კლასებს, გაიძახიან საწინააღმდეგო სიტყვებს და იმღერიან ამგვარსავე სიმღერებს და ამნაირად სწავლის ნორმალურ მიმდინარეობას ხელს უშლიანო.

პედაგოგიის თეორეტიკულ წარმომადგენელს შესაფერი პასუხი მისცა ადგილობრივმა მსხვილმა ბიუროკრატმა გრიგორიაშმა (სახაზინო პალატის უფროსი). ნუ გეშინიათ, თავი არ შეუწუხებია ღრმა მიზეზების ძებნით,—მან სულ უბრალოდ ახსნა დღევანდელი მღელვარება სასწავლებლებში—აქ ყველაფერში მშობლები არიან დამნაშავენიო. ისინი არ არიდებენ ბავშვებს თავისუფალ ჟურნალ-გაზეთებს, მათთან ერთად კითხულობენ, მათთან ერთად საუბრობენ პოლიტიკაზე, აგონებენ მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს და ასე ამრიგად რყვნიან თავიანთ შვილებსო.

ამ ორატორის სიტყვამ ცივი წყალი გადაასხა დამსწრეთა გულს და მთელი კრება ერთხანს თავზარდაცემული სდუმდა. 5 წუთის შემდეგ ვლ. განდელაკმა დაარღვია ეს სიჩუმე და თქვა, რომ მშობლები სრულიად არ არიან დამნაშავენი შეგირდების დღევანდელ მღელვარებაში, მის მიზეზს ტყუილად ეძებთ ოჯახში,—იგი მის გარეშეა. ახალმა სიომ შეპყრა როგორც დიდები, ისე პატარები; მღელვარებამ მოიცვა მთელი რუსეთი და ამიტომ სრულიად გასაკვირი არ არის, თუ მან აქაც თავი იჩინა და ქუთაისის მოწაფენიც გაჰყვნენ საერთო ალში. ორატორის სიტყვა რამდენჯერმე გააწყვეტინეს ჩინოვნიკებმა.

შემდეგ ილაპარაკა სიმონ ქვარიანმა. მე სრულიად გამაოცა იმ სამარისებურმა სიჩუმემ,—სთქვა მან,—რომლითაც კრებამ თქვენ გიპასუხათ. თქვენ მოიწვიეთ მშობლები და ჭირისუფალნი და თხოვთ მათ შველა-დახმარებას, მოწაფეთა დამშვიდებას, სასწავლებლებში წესიერების აღდგენას. მაგრამ განა შეგვიძლია ეს ჩვენ?! განა შეუძლია მშობელს დააწყნაროს ის შვილი, რომელიც გამოვიდა მის ჭკუიდან?! ვერა; ეს ტყუილი იმედია!.. მარტო აქ, გიმნაზიაში, არ არის მღელვარება,—ქუთაისის სხვა სასწავლებელნიც შეპყრობილნი არიან ამავე „სენით“ და არა მარტო ქუთაისი,—მთელი კავკასია და რუსეთი. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას ყოველ მხრივ, შუაში და ირგვლივ, უკმაყოფილების ალი. ეხლა მიბრძანეთ, სად ღუზღუზებს ცეცხლი უფრო მძლავრად? ეჭვი არ არის, იქ, როცა მასალა უფრო შესაფერია და აი ამგვარი მასალა სკოლაა, ამგვარი მასალა ახალგაზდობაა. ვიყვნეთ, ბატონებო, გულახდილნი. რუსეთის და კერძოდ კავკასიის სკოლა სრულიად დაშორებულია ჭეშმარიტ პედაგოგიურ ნიადაგს, როგორც სწავლის სისტემაში, ისე აღზრდაში; იგი გაჟღენთილია ვიწრო პოლიტიკურ ტენდენციით, გაჟღენთილია ბიუროკრატიზმის დამხშობელ ატმოსფერით, აქ გამეფებულია პოლიციური სისტემა და გაზარმეული დისციპლინა. ეხლა მიბრძანეთ: ამის შემდეგ განა შეიძლება სკოლის კედლებში ყმაწვილის სულის და გონების სადი გაფურჩქვნა და განვითარება?! პირიქით, ის სასტიკი რეჟიმი ხუთავს ახალგაზდობის სულს, ჰკლავს მის ინტელექტში შემქნელ ძალას და ინიციატივას, უღუნებს ხასიათს, ენერგიას და ასუსტებს ზნეობას. ამის შემდეგ აღარაა გასაკვირი, თუ აივსო მოსწავლეთა მოთმინების ფიალა, თუ ეს ახალგაზდობა უცხადებს პროტესტს სკოლის რეჟიმს, თუ მას სწადიან დამხუთველ ჰაერის გაწმენდა და აკადემიურ თავისუფლების ცხოველ-მყოფელ სხივების შემოშვება სასწავლებელთა შენობაში, იმ თავისუფლებისა, რომელსაც თხოულობენ დღეს მთელი რუსეთის უმაღლესი და საშუალო სასწავლებელნი, საუკეთესო პროფესორები და მასწავლებელნი. დღეს დროა შეიცვალოს ძირიანად სკოლის მავნე სისტემა, დროა დაარსდეს სასწავლებელნი, რომელთაც საბრალო ჩინოვნიკ-კარიერისტების ნაცვლად უნდა მოგვცენ საჭირო თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მხნე, ფხიზელი, საქმიანი და მართლ-მოყვარე მოქალაქენი...

ორატორის ასეთი გაბედულობა ჩინოვნიკებს არაფრად მოსწონდათ და რამდენჯერმე გააწყვეტინეს ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარე უფრო ლმობიერი აღმოჩნდა და დაათავებინა სიტყვა და ბოლოს მაინც თავისი თქვა: ევროპაში უარესი დისციპლინაა და მაინც ასეთი აჯანყებებს იქ არ ვხედავთო. ჩვენ კი, მიუხედავად ჩვენი ლმობიერის მოქცევისა, მაინც ვერას გავხდით და გთხოვთ განმეორებით დაგვეხმაროთ შეგირდთა დაწყნარებაშიო. გრიგორიაშმა კი ამას დაუმატა: თუ მამები დარიგებით ვერას გავხდებით, დედების ცრემლები დავისხმაროთ და ამ იარაღს კი დიდი ძალა აქვსო.

სიმონ ოცხელს ქუთათურ ბიუროკრატის რჩევა არ ეულ და სთქვა: დღეს მთელი რუსეთი ისე მოიცვა საერთო მღელვარებამ და ისე გაძლიერდა პროტესტის ცეცხლი რუსეთის სკოლებში, რომ მშობელთა გამანდა და დედის ცრემლები ვეღარ ჩააქრობენ მას. დღევანდელ პირობებში მე არ მწამს დედების ცრემლის ძალა; ასეც რომ იყოს, სად შევკრიბოთ აქ ყველა მოწაფის დედები, რომელთა დიდი უმრავლესობა ცხოვრობენ მაზრებში 100—200 ვერსის მანძილზე? აქ იმასაც ბძანებენ, მშობლებმა გარყვნეს შვილებიო, მაგრამ ერთი გვიბძანეთ, ვიღამ გარყვნა პანსიონები, რომელთა თავმჯდომრებიც თქვენა ხართ?! ისინიც ხომ მონაწილეობას იღებენ დღევანდელ მოძრაობაში? ვგონებ არსად და არას დროს სკოლა არ გასცილებია სად პედაგოგიურ ნიადაგს ისე, როგორც რუსეთში. ის მკაცრი რეჟიმი, რომელიც გაბატონებულია სასწავლებელში, ხუთავს ყმაწვილის ნორჩ სულს და ჰქმნის მასწავლებელს უგულო ბიუროკრატად. აი, ამ ღრმა მიზეზებზე მსურს მე ლაპარაკი, განაგრძო ბ-მა ოცხელმა, მაგრამ ჩინოვნიკებმა უყვირეს: არ გვინდა, არაო. ჩვენ აქ გიმნაზიის რეჟიმის საკრიტიკოდ არ მოვსულვართ. ამის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: საკითხი საკმაოდ გამოირკვა და, თუ საჭიროდ დავინახავთ, გიმნაზიას დავკეტავთო.

ასეც მოხდა, დღეს ქუთაისში დაკეტილია ყველა საშუალო სასწავლებლები: გიმნაზია, ქალებისა და ვაჟების, რეალური და სამოქალაქო სასწავლებლები, სათავად-აზნაურო და სამეურნეო სკოლა, ქალების საეპარქიო და სასულიერო 4-კლასიანი სასწავლებლი. შეგირდები ბევრი სოფლად გაიხვეწა და დანარჩენები ქალაქში ელოდებიან.

ის-არიძე.

# სადღეისო

## საფრანგეთი ახალშენებში.

მთელი საზოგადოება შეძრწუნდა, როდესაც გამომჟღავნდა საფრანგეთის ახალშენებში ზოგიერთ მოხელეთაგან ჩადენილი საზარელი ამბები...

ამას წინად ერთმა ფრანმა გამოსცა წიგნი ახალშენების შესახებ. ამ წიგნში იყო აღნუსხული მოხელეების ძალ-მომრეობის, მხეცობის ამბავი.

ახალშენების სამინისტრომ თავის გასამართლებლად ვერ წამოაყენა ვერც ერთი საბუთი, ბოლოს განაცხადა, წიგნში აწერილი ამბები მართალი გამოდგა, მაგრამ ამ საქმეების ჩამდენი მოხელეები გიჟები ყოფილიან, თორემ ჭკუათამყოფი ადამიანი ვერ ჩაიდენდა ამდენ სიმხეცეს.

რაშია საქმე?

ახალშენებში არ არის შემოღებული ისეთი წეს-წყობილება, რომელიც საფრანგეთში მოქმედებს. საფრანგეთის ხალხს და საფრანგეთის მთავრობას არ ემეტებათ თვითმმართველობის პრინციპი ახალშენებისათვის, სადაც უმეტესად ცხოვრობენ ადგილობრივი ხალხები,—ზანგები.

თვით რადიკალი დასებიც თანახმა არიან, რომ იქ, შორეულ ქვეყნებში, უცხო ტომის ხალხთა ბედი და იღბალი იყოს დამოკიდებული მთავრობის მოხელეთა კერძო სურვილზე, რომ ახალშენებში გაგზავნილ მოხელეებს თვითმპყრობელ მეფის უფლება ჰქონდეთ მინიჭებული მკვიდრთა შესახებ.

ზანგებს აკლიათ განვითარება,—საფრანგეთი მათ მფარველობას უწევსო.

ერნესტი ტორე, სუდანის საახალშენოს მოხელეც ყოფილა ასეთი მფარველი.

14 ივლისს, საფრანგეთის ეროვნულ უქმე დღეს, ტორე და მისი ამხანაგები ქეიფობდნენ თურმე სადღაცა. ქეიფის დროს ვიღამაც ახალი დროს გატარება გამოიგონა:

—ნეტავი როგორ ააფეთქებს ზანგს დინამიტიო...

დაიჭირეს ზანგი, დააკრეს ზურგზე დინამიტი და სიცილ-ხარხარით უყურებდნენ შორიდან, როგორ ნაკუწ-ნაკუწად აქცია საბრალოს სხეული...

ერთხელ კიდევ მოილაპარაკეს გავუმასპინძლდეთ ზანგებსაო.

დაპატიჟეს მშიერ-მწყურვალი ხალხი, დასხეს სუფრაზე, მოართვეს წვნიანი, შემწვარიც...

ზანგები გახარებული სჭამდნენ გემრიელ სადილს.

ბოლოს მოიტანეს უკანასკნელი ფერიც... მოკლულ და შემწვარ ზანგის თავი,—სტუმრად თურმე მოკლულის ნათესავებიც დაეპატიჟა ტორეს.

ბევრიც იცინეს თურმე.

რამოდენისამე დღის შემდეგ ტორემ შინისკენაც მისწერა ამ მასპინძლობის ამბავი. თავსაც იქებდა.

ამ ტორეს თანაშემწე, გო, არ ჩამოუვარდებოდა თურმე თავის უფროსს.

მოჰკლავდა ზანგს, მის ძვლებს გამოხარშავდა და წვენს ძალით ასმევდა ზანგ-ბავშვებს.

ერთხელ თურმე გომ გამოიყვანა ერთი დაპატიმრებული ზანგი სატუსაღოდან და გამოუცხადა—თავისუფალი ხარ, შინ წასვლის ნებას გაძლევო.

გახარებულმა ზანგმა დაუჩოქა თავის მხსნელს და შინისკენ გაიქცა, მაგრამ... გავარდა თოფი და ზანგი, გოს ტყვიით მოკლული, იქვე წაიქცა მიწაზე

მოუვიდა გოს ახალი თოფი საფრანგეთიდან, ვიზე უნდა გასინჯოს ამ თოფის ტყვია, თუ არ იმავე უმწეო ზანგზე.

ლიბერალურ საფრანგეთის ბატონობა ახალშენებში საშინელია. სატუსაღოები სავსეა ზანგებით, უკანასკნელ ლუკმა-პურს ართმევენ ზანგებს, ადამიანად არ მიაჩნიათ ზანგი.

საფრანგეთის ერს თავისუფლება უნდა თავისთვის,—სხვა ერებისთვის არ ემეტება.

და განა მარტო საფრანგეთი იქცევა ასე?

ვის არ ახსოვს გერმანელ პრინცის არნბერგის საქმენი საგმირონი ახალშენებში, ვის არ ახსოვს ალჟირში მომხდარი ხალხის აჯანყება ამ ორი წლის წინად, ვინ არ იცის, როგორის თავგასულობით მოქმედებს ბელგია კონგოში, გერმანელები—გერეროს მხარეში.

ყველგან, სადაც ბედმა არგუნა რომელსამე ერს სხვა ერზე გაბატონება,—ერთსა და იმავე მოვლენას შეხვდებით ხოლმე.

გაბატონებულ ერს არ ემეტება დამონებულ ერისთვის ყველა ის უფლება, რომელიც თავისთვის აუცილებელი ჰგონია.

რადიკალი გერმანელი ან ფრანგი შინ, კაბინეტში, ხშირად ლაპარაკობს საერო ძმობა-თანასწორობაზე, მაგრამ ცხოვრებაში გადასული არაფერ საშუალებას არ ზოგავს სხვების დასამონავებლად.

თავის გასამართლებლად ყოველივე საბუთიც მზადა აქვს,—კულტურას ვავრცელებ იმ უკულტურო ხალხშიო!..

და განა მარტო აფრიკელ ზანგების შესახებ იჩენენ ამდონ უსამართლობას?

ამერიკაში, მაგ., ზანგები განათლებით ხშირად არ ჩამოუვარდებიან სხვა ტომის წარმომადგენლებს, მაგრამ იქაც ამერიკელებს ზანგი სულ ადამიანად არ მიაჩნიათ.

გერმანელები სდევნიან პოლონელებს, ინგლისელები დღესაც კიდევ ვერ ანიჭებენ სრულ თვითმმართველობას ირლანდიას.

მხოლოდ იქ, სადაც დამონებული ერი იჩენს საჭირო გაბედულობას და ძალას, რომ აღუდგეს წინ მის უსამართლო დაჩაგვრას, შეიძლება დასთანხმდეს გაბატონებული ერი და მისცეს მას თანასწორი უფლება.

ჯერ არსად დედა-მიწაზე არ მიუღია დამონებულ ერს თავისუფლება ან გაბატონებულ ერთან თანასწორობა „ხვეწნითა და მოთმინებით“.

ვისაც არა აქვს თვითონ შეგნებული თავისი უფლება, ვისაც არა აქვს თავისი პატივისცემა, ის ერი ვერც სხვისაგან მოითხოვს გათანასწორებას.

მთხოვნელი მათხოვარია და მათხოვარს საზღვარ გარედ ერის საპოლიტიკო ცხოვრებაში მონაწილეობაც არა აქვს.

განა სადაც ხალხს შეუძლიან საერთო მოქმედება თავიანთ ეროვნულ და კერძო უფლებების დასაცველად, გაჰბედავდა ვინმე გადმოსული მოხელე მის შეურაცხყოფას ან დაჩაგვრას?

ყველა ჰგრძნობს, რომ ვერაოდეს ვერ გაჰბედავდა...

—ლი.

# პრესსა

„მოსკოვის უწყება“ ყოველთვის საინტერესო ცნობებს იძლევა და ამიტომ აუცილებლად არის საჭირო ვადევნოთ ხოლმე თვალ-ყური იმას, რასაც ჰქადაგებს ის გაზეთი.

უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთში, იმათ გარდა, ვინც ემხრობა ლიბერალურ გაზეთებში გამოთქმულ აზრებს, კიდევ მრავლად არიან „მოსკოვის უწყებების“ მიმდევარნიც.

ამიტომ მომავალ რუსეთში საზოგადო ასპარეზზე გამოვა ორივე ჯგუფი.

რაღას ამბობენ ესენი?

„ნამდვილი რუსები გამოვლენ სამოქმედოდ შინაურ მტრების საწინააღმდეგოდ, როდესაც დაწყნარდება ცოტაოდნად საქმეო.

განაპირა ქვეყნებში რომ თხოულობენ სწავლა-განათლებას სამშობლო ენაზე,—ალბად იციან ფრანგ კრიტიკოსის ვინეს სიტყვები,—ვის ხელშიაც სასწავლებელია, მის ხელშივეა თვით ერიც?

ეს სიტყვები ალბად არც თვით „მოსკოვის უწყების“ თანამოაზრეთ ექმნებათ დავიწყებული და, ამიტომ არის, რომ ყველგან გარუსებაზე ფიქრობენ და საამისოდ სასწავლებელში თვით სწავლა-განათლების მაგიერად პოლიტიკაზე ზრუნავენ.

დროა, ავიხადოთ თვალიო და განაპირა ქვეყნებში მოვაწყოთ საქმე ისე, როგორც ამას მოითხოვს რუსების ინტერესიო.

მაშინ განქრებიან ჩვენი მტრები, აღიმაღლებიან სულით ნამდვილი რუსები და შესაძლო შეიქმნება სრული ერთგულებით მეფის სამსახურიო.

გაზეთს სასაცილოდ მიაჩნია, რომ შეიძლება შემდეგში შესდგეს რუსეთში პარლამენტი და ამ პარლამენტში შევა

ქურქში გამოხვეული სამოედი, ყირღიზი და ყალმუხი, აბრეშუმის ფარაჯაში გამოწყობილი, სომეხიც თავის შავ ტანისამოსით, ყაბალახიანი ჩერქეზიც და ქართველიც მის ჩოხა-ახალუხით,—ამათ გვერდში უნდა ამოუდგეს მალოროსები, ველიკოროსები, ბელორუსი, კარელები, მოლდავები, პოლონელები, ლიტოველები, გერმანელები, თათრები, სპარსელები, თურქმენები, სარტები და ურიები.

სულ თითქმის ოცამდის სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ჩამოთვლილი ჰყავს გაზეთს და რაკი უძნელდება იმაზე ფიქრი, როგორი ზომებით შეიძლება ამათ ეროვნულ უფლებების დაკმაყოფილება, მოკლედ და გადაჭრით აცხადებს: გარუსდეს ყველაო!

გრ. სტარცევი, რომლის წერილიც გვქონდა მოყვანილი გუშინწინდელ ნომერში, ეხლა კიდევ სწერს რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იმავე გაზეთ „ნოვოსტში“.

რუსებს თანდაყოლილი აქვთ ერთი ჭირი,—ყოველთვის იგვიანებენ.

აგერ ექვსი თვე არის მას აქეთ, რაც [illegible] პირველად რუსეთის ხალხმა ნდობის სიტყვა, მაგრამ სად არის ეს დაპირებული ნდობა?

ჟურნალ-გაზეთობა უწინდელივით არის დამუნჯებული, უძლური... ათასნაირი ცირკულიარი უკრძალავს სხვადასხვა საჭირბოროტო საქმეებზე წერას და ლაპარაკს.

ამ მოკლე ხანში დაიკეტა სამი გაზეთი.

სხვადასხვა მიზეზისა გამო ხან ერთი წერილი არ დაიბეჭდება, ხან კიდევ მეორე... გაკვრით არის მოხსენებული გაზეთებში ის საშინელი ამბები, რომელიც ეხლა ხდება რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, როდესაც უცხოელ გაზეთების კორესპონდენტები ათასობით სცხოვრობენ რუსეთში და რუსეთის შესახებ კორესპონდენციებს იგზავნებიან.

იმ საშინელ უბედურების შესახებაც არაფერი იცის საზოგადოებამ, რომელიც მოხდა 9 იანვარს რუსეთის დედა-ქალაქში.

მთელი რუსეთი აღელვებულია, ყველგან არეულობის ამბები გვესმის, ჰაერში ჰგრძნობს ადამიანი საშინელ, გაურკვეველ მდგომარეობას და ჟურნალ-გაზეთობა... სდუმს, არ შეუძლია ხმის ამოღება კანცელარიებში კი ასეთი მდგომარეობა „ნდობის“ ნიშანი ჰგონიათ.

მართალია, მთავრობის პოლიტიკა ამ უკანასკნელ ხანებში არ შეცვლილა არაფრით, უწინაც ხურავდნენ გაზეთებს, უკრძალავდნენ ლაპარაკს.

მაგრამ ეხლა გამოცვლილა თვით საზოგადოება, რომელიც უფრო ძნელად იტანს ეხლა ყოველგვარ უსამართლობას.

და ამ გარემოებას, საზოგადოების გამოფხიზლებას ვერ ამჩნევს ბიუროკრატიაც.

აქაც „გვიან“ გაიგებენ ალბად ხალხის საჭიროებას.

რუსეთში ხალხი აღელვებულია და საბუთიც აქვს აღელდეს.

ეუბნებიან, დამშვიდდიო, მაგრამ შეიძლება განა სიმშვიდე, როდესაც ხალხი დატანჯულა, როდესაც მას არავითარ დაპირების აღარ სწამს!

რუსეთში ამ ჟამად დიდ მნიშვნელოვანი საისტორიო ცვლილება სრულდება და მის მსვლელობის გაჩერება არ შეიძლება ძალით, ბრძანებით, დატუსაღებით.

ბევრი რამ, რასაც განსვენებულ პლევეს დროს ითმენდა საზოგადოება, ეხლა აღარ შეუძლიან მოითმინოს. საშინელის სისწრაფით მწიფდება საზოგადოების აზრი და იზრდება ხალხი.

„დაგვიანება“ საშიში არის.

რასაც შარშან თხოულობდა საზოგადოება რუსეთში, იმას აღარ სჯერდება წრეულს და, რისი მიღება დღეს ენატრება, ხვალ იმის მიღებას არაფრად ჩააგდებს.

საკმარისია წარსდგან პირველი ბიჯი მთავრობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და დაწყნარდება ყველა.

საჭიროა საზოგადოება მართლაც ნდობით უყურებდეს მთავრობას.

ამჟამად კი საზოგადოებამ არ იცის, თუ რა მოელის ხვალ, არ იცის, რას უქადის შემდეგში ბედი. საზოგადოება, აღელვებული, ცხადათ და გარკვევით ასახელებს თავის მრავალ-ნაირ საჭიროებას... ამბობენ სიტყვებს, კითხულობენ მოხსენებებს, სწერენ გაზეთებში წერილებს... ყველას რაღაცა სწყურია, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ და ბოლო არა აქვს ლაპარაკს...

# რუსეთი

ძველი წესწყობილების კრიტიკას და უარისყოფას თან ყოველთვის ახალი პირობების შექმნა მოსდევს ხოლმე და ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მოსკოვის გუბერნიის საერობო კრების გადაწყვეტილება, რომლითაც ერობა ითხოვს

---

ბა, ან მეფეზე დამოუკიდებელ და ხალხისაგან არჩეულ მოსამართლეთა ბრძანება.

დანარჩენი სამი მუხლი შეადგენს ინგლისის თანამედროვე წესწყობილების ქვაკუთხედს. მაგ. მეთორმეტე მუხლის ძალით მეფეს არ შეეძლო რამე გადასახადი შემოეღო სახელმწიფოში, საერო კრების ნება-დაურთველად.

მეთოთხმეტე მუხლში ჩამოთვლილი არიან ყველანი, ვინც იღებდნენ მონაწილეობას საერო კრებაში, აქ არის სამღვდელოება—მთავარ-ეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბბატები, და თავად-აზნაურობაც,—გრაფები და უფროსი ბარონებიც. ესენი კრებაზე სათვითოოდ უნდა მოეწვია ყოველთვის მეფეს, მეფის დანარჩენი ქვეშევრდომები-კი უნდა მოეწვიათ საერო გამოცხადებით.

ამისგან წარმოსდგა შემდეგში ორი სხვადასხვა კრება,—ზემო და ქვემო პალატა.

მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ მუხლს (63), რომელიც შემდეგისათვის უზრუნველ ჰყოფდა ამ ქარტიის დაურღვევლობას. თავად-აზნაურობა ირჩევდა ოც-დახუთ პირს და ავალებდა, მათ ედევნებიათ თვალყური იმისთვის, რომ არსად და არავის დაერღვია ინგლისელების ზემო აღნიშნული სხვადასხვა უფლება. თვითონ მეფეს რომ დაერღვია ქარტია და არ შეესწორებია თავისი შეცდომა 4 არჩეულ პირის მოთხოვნით 40 დღის განმავლობაში,—ამ ოცდა ხუთ პირს უნდა ეხმარა ძალა მეფის საწინააღმდეგოდ, მათ შეეძლოთ მისი ქონების წართმევა, და ხალხიც ვალდებული იყო იარაღით ხელში დახმარებოდა მათ და ყოველივე ზომა მიეღო იმისთვის, რომ მეფეს მალე შეეგნო თავისი შეცდომა.

მეფეები, რასაკვირველია, ცდილობდნენ ყოველთვის მათთვის უსიამოვნო ქარტიის მოსპობას. ჯერ თითქმის ხელმოწერილიც და სისრულეში შესულიც არ იყო იგი და მეფე იოანე უმიწაწყლომ დაარღვია ქარტია და ამით ინგლისში გამოიწვია საშინელი განხეთქილება და სისხლის ღვრა.

იოანეს შემდეგაც არა ერთხელ და ორჯელ უცდიათ მეფეებს დაკარგულ უფლებების დაბრუნება და თვითმპყრობელობის აღდგენა, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული რჩებოდნენ და მხოლოდ მე-VXII საუკუნეში მომხდარმა რევოლუციამ მოუღო სამუდამოდ ბოლო ძალმომრეობას და შინაურ განხეთქილებას.

მეფის ბრძანებით 1627 წ. დაატუსაღეს ვილაც გამპდენი და მისი ამხანაგები, რომელთაც თურმე განეცხადებიათ უარი რაღაცა გადასახადზე, როგორც უკანონოდ გამოცემულზე, საერო კრების უკითხავად და მის ნება დაურთველადაც.

ამაზე მთელი ინგლისის ერი აღელდა, თხოულობდნენ დატუსაღებულების განთავისუფლებას, მაგრამ სასამართლო, რომელსაც უნდა გადეწყვიტა მათი განთავისუფლების საქმე, „მშიშარა“ გამოდგა და ვერ აუდგა წინ უკანონობას.

მაშინ საერო კრება ჩაერია საქმეში. სამოქალაქო თავისუფლების დასაცველად და მეფე კარლო I-ის ალაგმვად კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც 1628 წ. კანონი შეიქმნა. (Petition of Roghts. თხოვნა უფლებების შესახებ).

1) მეფეს, ან მისგან დაყენებულ მოხელეს არა აქვთ უფლება დაატუსაღონ ვინმე, მიზეზის აუხსნელად გარკვევით.

2) დატუსაღებულს, მის ვექილს, ნათესავებს და ყოველ კერძო პირსაც ეძლევა უფლება მოითხოვოს სასამართლოში დატუსაღების მიზეზის ახსნა და შემოწმება.

3) კანონის მიზეზის აუხსნელად თუ იქმნა დაპატიმრებული ვინმე მეფის ან მისგან დაყენებულ პირების ბრძანებით, სატუსაღოს უფროსმა უნდა გაანთავისუფლოს იგი დაუყოვნებლივ.

მაგრამ ამ კანონს თან დაჰყვა ერთი დიდი ნაკლიც,—არ იყო ნაჩვენები, თუ რა სასჯელი მოელის იმათ, ვინც დაარღვევდა ზემოხსენებულ კანონს.

ამიტომ მეფე კარლო II-ს დროს, 1679 წ. პარლამენტმა გამოსცა ამის შესახებ ახალი კანონი (Habeas Corpus Act 1679 წ.), რომლის ძალითაც იყო შემოღებული სხვადასხვა ჯარიმა იმათზე, ვინც დაარღვევდა როგორმე კანონს.

ჯარიმა უმიზეზოდ დატუსაღებულის სასარგებლოდ მიდიოდა და აღემატებოდა ხშირად ოთხას ან ხუთას თუმანსაც. ამას გარდა სამსახურიდანაც ითხოვდნენ იმათ, ვინც არ ეცდებოდა და ხელს არ შეუწყობდა კანონის მტკიცედ ასრულებას ყველასაგან.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეეძლო მეფეს და ადმინისტრაციას ადამიანის დატუსაღება სასამართლოსგან ნებართვის მიუღებლად,—როდესაც ადამიანს რამე დიდი საპოლიტიკო დანაშაული ბრალდებოდა, მაგრამ აქაც დატუსაღებულ ადამიანს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა სასამართლოსთვის მისი საქმის დაუყონებლივ გარჩევა და სასამართლო თუ არ შეასრულებდა ამ თხოვნას და საქმეს გადასდებდა რამე მოსაზრებით, დატუსაღებული უნდა გაენთავისუფლებინათ სატუსაღოდან და შემდეგ დანიშნულ ვადაში სასამართლო თუ მაინც არ შეუდგებოდა საქმის გარჩევას, გამოძიება და საქმე თავის თავად და სამუდამოდ უნდა მოსპობილიყო.

ის უფლებები მოიპოვა ხალხმა იმიტომ, რომ საოცარ სიმტკიცეს იჩენდა ყოველთვის, როდესაც მეფე ცდილობდა არსებულ კანონების დარღვევას. ჰენრიხ მეექვსეს დროს, მაგ., ერთმა მსაჯულმა გამოაცხადა საჯაროდ, მეფეს არ შეუძლიან უკანონოდ მიბრძანოს ვისიმე დატუსაღება, ვინაიდან ასეთ ბძანებას ვერ შევასრულებო.

მეორე მსაჯული ამბობდა, მეფეს არა აქვს უფლება უბრალო ეჭვით დაატუსაღოს ვინმე,—უკანასკნელ მოქალაქეს ასეთი უფლება უფრო უნდა ჰქონდეს, ვიდრე თვით მეფეს. მართლაც უკანონოდ თუ შეიქმნა ადამიანი დატუსაღებული შეუძლიან სასამართლოში იჩივლოს. მეფეზე კი საზოგადოთ სასამართლოში ჩივილი არ შეიძლება.

ხანდახან, განსაკუთრებულ პირობებში დროებით შეჩერდებოდა Habeas Corpus-ის მოქმედება ინგლისში. მაგრამ ასეთი შემთხვევა ათასში ერთხელ მომხდარა,—უკანასკნელ 87 წლის განმავლობაში, მაგ., ინგლისის ერს არც ერთხელ არ დასჭირებია მისი შეწყვეტა.

თვით მაშინ, როდესაც დროებით არ მოქმედებს Habeas Corpus-ი, ინგლისელების კერძო პიროვნება მაინც არ არის დატოვებული უმწეოდ,—ადმინისტრაციის სათამაშოდ. მთავრობას ეძლევა მხოლოდ უფლება დაპატიმრებულ პირთა შესახებ საქმის გარჩევა რავდენისამე ხნით გადადოს. მაგრამ ადამიანის დატუსაღებისთვის მაინც კანონიერ მიზეზების დასახელება არის საჭირო მაშინაც.

ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მთავრობა ბრძოლით გაცხარებული, თვითნებობასაც ადგებოდა და კანონიერ მიზეზის დაუსახელებლად, უბრალო ეჭვით ატუსაღებდა ზოგიერთებს, მაგრამ ამაზე შეიძლებოდა საჩივარი და კანონიც ხელს უწყობდა ამნაირ საჩივრებს.

ამიტომ მთავრობა ცდილობდა აეცდინა თავიდან უსიამოვნო საჩივრები და წელიწადში ერთხელ თხოულობდა ხოლმე საერო კრებაში, რომ კრებას ეპატიებია ყველა შეცდომა და უფლების გადამეტება, რომელიც მთავრობას და მის მოხელეებს ჩაუდენიათ ნებით ან უნებლიეთ.

საერო კრებაც სარგებლობდა მთავრობის ამნაირ წინადადებით და დაურიდებლად ჩამოსთვლიდა ხოლმე მის მოხელეთაგან ჩადენილს ყველა უსამართლობას, ჰკიცხავდა მთავრობას, სირცხვილში აგდებდა და ზნეობრივად მაინც სჯიდა იმათ, ვინც უკანონოდ სარგებლობდა თავის უფლებით.

ამჟამად ხალხს შეუძლია მთავრობის ალაგმვა საყოველთაო საერჩევნო უფლების საშუალებით. სამინისტრომ თუ გადუხვია კანონიერების გზას, უმეტესობა მისი წინააღმდეგი შეიქმნება და სამინისტროც გახდება იძულებული დაანებოს თავი სამსახურს.

ამნაირია ის გარანტიები, რომელიც ინგლისში უზრუნველ და ხელუხლებელ ჰყოფს ადამიანის პიროვნებას.

მაგრამ ესეც არ კმარა,—ინგლისის ხალხს მოპოვებული აქვს წერისა, კრების, ამხანაგობების და მიტინგების სრული და განუსაზღვრელი თავისუფლება.

ამიტომ სადმე თუ ჩაიდინა მთავრობის მოხელემ რამე უსამართლობა, ამაზე მთელი ინგლისი იწყებს ლაპარაკს,—შინ თუ ქუჩაში, კერძო ლაპარაკში თუ კრებებზე და ჟურნალ-გაზეთობაში. შეუძლია ყველას ამის შესახებ აზრის გამოთქმა და მთავრობაც თითქმის ყოველთვის ყოფილა იძულებული მოქცეულიყო ხალხის სურვილის თანახმად დაესაჯა კანონის დამრღვევი თავისივე მოხელე.

ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში რევოლუციების დროს დამონებული ხალხი ერთბაშად არღვევდა თავის ბორკილებს და აცხადებდა, ამიერიდან ყოველი აქ მცხოვრები ადამიანი თავისუფალი მოქალაქეა, სხვადასხვა უმთავრეს უფლების მქონე, როგორიც არის, მაგ. პიროვნების ხელუხლებლობა, ინგლისში კი ხალხმა მოიპოვა თავისი უფლება თანდათან.

ყველგან ხალხი თავისუფლებისაკენ გადადგმულ პირველსავე ნაბიჯზე აცხადებდა, რომ ამიერიდან პოლიციას, ადმინისტრაციას არა აქვს უფლება, რამე ეჭვით დაატუსაღოს ვინმეო, ყველგან პოლიციის თავგასულობა თითქმის მიზეზად გახდომია ხალხის აჯანყებას უფლებების მოსაპოვებლად.

ინგლისშიც ყველა ზემოდ აღნიშნული კანონი იქმნა გამოცემული იმის გამო, რომ მთავრობა ცდილობდა გაბატონებას ხალხში.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იქ, ევროპაში, პოლიციელის მუშტი ჰქმნიდა ხალხის თავისუფლებას, ამ მუშტ ქვეშ გრძნობდა ადამიანი თავისუფლების მნიშვნელობას და ბრძოლას პირველად ამ მუშტის წინააღმდეგ იწყებდა.

შემდეგ კი, როდესაც ხალხმა გაიმარჯვა, მისი პირველი საზრუნველი შეიქმნა გაენთავისუფლებია თავი პოლიციის ბატონობისაგან და აეკრძალა პოლიციისთვის ადამიანის კერძო და საზოგადო ცხოვრებაში გარევა.—

*.—

სრული უფლება მიეცეს მას სახალხო სკოლების თავისუფლად დაარსებისა და მათი მართვა-გამგეობისა,—საყურადღებოა, როგორც პირველი ნაბიჯი იმ დიდს და რთულს საქმეში, რომელიც ბიუროკრატიულ წესწყობილების დანგრევასა და მოსპობას უნდა მოჰყვეს. არც ერთს მხარეს საზოგადოებას არ აყენებს არსებული პოლიციური რეჟიმი ისეთს საშიშს და გამათახსირებელ ზიანს, როგორც სახალხო განათლების საქმეს. სიბნელისა და მონურ მორჩილების თაყვანისმცემელი, ეს რეჟიმი სისტემატიურად სდევნის ხალხის თვითცნობიერების გაღვიძებას, სათავეშივე სწამლავს ერის სასიცოცხლო ძალთა შემოქმედებას და სკოლას უმთავრეს ადგილს, სადაც ეს ძალები მწიფდება და ვითარდება, პოლიციის „უჩასტკადა“ ჰხდის. ამნაირ პოლიტიკის ნაყოფს დღეს რუსის საზოგადოება, თავის საუბედუროდ, კარგად გრძნობს. უმრავლესობა,—გლეხობა, სიბნელისა და ცრუმორწმუნეობის მორევში იხრჩობა, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სამარისებური სიჩუმეა დამკვიდრებული ♁ ყოველ წლივ რამდენიმე ათასი ცოდნით აღჭურვილი, განვითარებული და მებრძოლი წევრი აკლდება. ამიტომ მოსკოვის გუბერნიის საერობო კრება თითქმის ერთხმად დაეთანხმა ხმოსანს მ. შჩეპკინს, რომელმაც წინადადება მისცა კრებას ზემოხსენებულ უფლების მოსაპოებლად: 1) შუამდგომლობა კი არ დაიწყოს ერობამ, არამედ კატეგორიულად და გარკვევით გამოსთქვას თავისი პრინციპიალური შეხედულება ამ საგანზე, 2) მოითხოვოს გადაჭრით, რომ სამოსწავლო დებულება 1874 წლისა, რომლის ძალითაც სწარმოებს ეხლა სამოსწავლო საქმის მართვა-გამგეობა, შესწორებული და შემუშავებული კი არ იყოს, რადგანაც შესწორება შეიძლება მხოლოდ იმისი, რაც არსებითად სწორეა და მართალი, არამედ სრულებით მოსპობილი ეხლავე, როგორც უარისმყოფელი საზოგადოებრივ აზრისა და სურვილისა, ამ სურვილებისადმი ეჭვის მთესველი და წინააღმდეგი 1864 წლის 14 ივლისის დებულებისა, რომელიც საზოგადოების თვითმოქმედებას დიდს ალაგს უთმობდა სამოსწავლო საქმეში. 3) სწავლის საქმის გამგეობა გადაეცეს ერობას, რომელმაც ეს საქმე თავისი ამორჩეული პირების საშუალებით უნდა განაგოს და ბოლოს სახალხო სწავლის სწორ და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისთვის შექმნილი იყოს წვრილი საერობო თვით-მმართველობა და სასკოლო სამზრუნველოები.

**მაქსიმ გორკის დატყვევებამ** უცხოეთში უფრო ალაპარაკა საზოგადოება, ვიდრე რუსეთში. მაგრამ ესეც კია, რომ რუსის საზოგადოებას ჯერ-ჯერობით ლაპარაკის ნებაც არ აქვს. საზღვარგარეთის მწერლებს შემდეგი პეტიცია გაუგზავნიათ ვიტტეს რჩევით შინაგან საქმეთა მინისტრისათვის: „მაქსიმე გორკის დატუსაღების ამბავმა დიდად აღელვა განათლებული ნაწილი იმ ქვეყნებში, სადაც მისი ნაწარმოები წაუკითხავთ. არ ვიცით, რა დანაშაული მიუძღვის უბედურ მწერალს, მაგრამ კარგად ვიცით, რა პატივისცემა მოუპოვა რუსის ერის სულსა და გულს უცხო ქვეყანაში მისმა ხელოვნურმა ნაწარმოებმა, ვიცით, რომ მას ასულდგმულებდა გატაცებული [illegible]

[illegible]

## კორესპონდენცია

[illegible]

...ლის ხარაზის შეგირდისათვის ჭიათურაში ნაყიდი ტყავები წაერთმიათ და მიეტანათ ერთ ჭიათურაში მოვაჭრესთვის—გვარად მექვაბისათვის, გასასაღებლად. მექვაბიძეს დ. ყვირილაში წაუღია ნაპარავი ნივთი გასასაღებლად. 12 თებერვალს მოატანინეს მექვაბიძეს უკან ეს ტყავები, აჰკიდეს მასთან ერთად ერთ მტაცებელთაგანს და წაიყვანეს ს. წირქვალში, სადაც მათ უცდიდა ორი ამხანაგი მტაცებლის გასასამართლებლად. იქ დახვდნენ სოფლელნი, რომლებმაც ამათ შემდეგი სასჯელი გადაუწყვიტეს: სამს მტაცებელს—საზოგადოების მიერ პირში მიფურთხება, ორთავეს თავისვე სოფელში დატყვევება—არც სალამი, არც ხმის გაცემა და, თუ ვინიცობაა შეცდომით ვინმემ მისცა სალამი, სამაგიეროდ ამათ არ უნდა გასცენ. აგრეთვე, გადაუწყვიტეს ზურგზე აჰკიდონ მათგან მოტაცებული ტყავები და მექვაბიძესთან ერთად სოფელში და შემდეგ ჭიათურის ბაზარში ჩამოატარონ, ხოლო მექვაბიძეს, გარდა ამისა, თექვსმეტი მანეთი ჯარიმაც დაადვეს. ამ დღეს წვრილ მრეწველთა კრება იყო ჭიათურის სათეატრო დარბაზში,—კრებაზე 400-დე კაცი იყო. აქ მოიყვანეს ეს დამნაშავენი, ზურგზე ტყავ-დაკრულნი დააყენეს სცენაზე და აუხსნეს ხალხს მათი დანაშაულობა.

ლადო გუბელი.

### ცხინვალი.

კორესპონდენტების მოვალეობა.—უგზოობა.—სოფლის ტრამვაი.

სოფლებიდან ხშირია კორესპონდენციები, მაგრამ უმეტეს ნაწილად კორესპონდენტები ისეთ რამეებს სწერენ, რაც არ არის სრულებით გამოსადეგი სოფლისთვის. ხშირია, მაგ., ისეთი წერილები სოფლიდან, რომ არ იცის ადამიანმა, რა მიზანს ემსახურება მისი დამწერი. სოფლად თუ გარდაიცვალა ვინმე შეძლებული პირი,—ქება დიდებას მოჰყვებიან, აქაო და გარდაცვალებულზე ცუდი არაფერი არ უნდა სთქვას ადამიანმაო, აქებენ ხშირად ისეთ ადამიანს, რომელსაც სიცოცხლეში ცუდის მეტი არა უქნია რა, რომელსაც ყოველთვის წყევა-კრულვით იხსენიებდა ხალხი. ნეტა ვისთვის არის საჭირო ასეთი ქება, ან რაღა საჭირო იქმნება პატიოსნება, თუ პატიოსანს და უპატიოსნოს, ხალხის მოყვარეს და ხალხის ერთნაირად შეამკობს ქებით ადამიანი. მაგრამ ასეთ ქებას უფრო ხშირად პირადი ანგარიში, ძმობა-მეგობრობა აწერიებს კორესპონდენტებს.

ან ეგება სხვა არაფერი არ არის მოსაწერი სოფლიდან? ეგება აქ სოფლის კანცელარიებში არ არის გაჭირვებული სოფელი, ეგება ქრივ-ოხერს არ სძარცვავს ზოგიერთი გამგებლებული მოხელე, ეგება ხალხი თავისუფალია ჩაფარ-სტრაჟნიკების უკანონო ოპეკუნობისაგან, მოსე-მწერლების ძარცვა გლეჯისაგან, და ქონება გამოლეულ ზოგიერთ უქმაქებისაგან,—ნუ თუ ყოველივე ეს საკორესპონდენციო მასალად არ ვარგა.

აი, ეხლაც, ვინ არ იცის მაგ., სოფლის გაჭირვება უგზოობის გამო, რომ ძალა-უნებურად, ბაზარში ვერ გააქვს საქონელი,—ჩარჩების ხელში ვარდება ადამიანი. ასეა ჩვენშიაც და ამიტომ გვმართებს ყოველივე საშუალება ვიხმაროთ იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს სოფელმა ასეთი გაჭირვება.

საშუალებაც ეხლა ხელთ არის. ტფილისის უსასტყლო საზოგადოებამ ცხენის ტრამვაის მაგიერად გამართა ელექტრონის ტრამვაი,—აუარებელი რკინის [illegible]

### კახეთი.

[illegible]

კარგა ხანია ახალი მომრიგებელი შუამავლები დანიშნეს, რასაც უნდა მოჰყოლოდა დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობის გამორკვევა, თანდათანობით მათი განთავისუფლება, რომ ნაბატონარს და ნაყმევს ერთმანეთში უსიამოვნების მიზეზი აღარ ჰქონოდათ, რომ აქ 40 წ. შემდეგ მაინც განთავისუფლებულიყვნენ. და ყველა ამის მაგიერ ძალა და ენერგია მომრიგებელ-შუამავლებისა იხარჯება სულ უბრალო საქმეებზე.—ეს ქათმები და ბატები გადმოდიან ჩვენს ეზოშიო; ეს შვილს უნდა გავეყაროო, მე იმასთან ცხოვრება არ შემიძლიაო; ორი აბაზი ეზოს ქირა ჰმართებს, ვსთხოვე, და შეურაცხყოფა მომაყენაო და სხვა და სხვა. მეტყვიან: მოდი და ნუ დაიჯერებ, როცა გლეხნი და მათი ნაბატონარნი ვერ რიგდებიან, გლეხები უარზე დგანან ნადელების გამოსყიდვაზედაო. მე-კი ვიცი, რომ ეს გასაკეთებელია. გაკეთება რომ არ უნდოდეს, ხომ გაკეთებული იქმნებოდა. გასაკეთებელს-კი შესაფერი შრომა და ერთგულება ყველა შეგნებულისა სჭირია. ყველა ნათქვამი მიზეზები თავის თავად გაქრებიან, თუ უფიცობისა და სიბნელის ადგილს შეგნება და სინათლე დაიჭერს; როცა ორივე მხარე დარწმუნდება, რამდენად სასარგებლოა მათთვის კერძოდ და საზოგადოდ ყველასათვის საქმის გათავება, დროებითი ვალდებულების მოსპობა, უარს აღარავინ იტყვის. მე ვგონებ ეს დასავიწყებელი არ არის.

ნადიკვრელი.

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

21 თებერვალი

**ტოკიო.** ოფიციალურის ცნობით, იაპონელები რუსებს აწვებიან სინძინტინთან, 15 მილის მანძილზე ფუშანიდან. რუსებმა ღამე ოთხჯერ მოიტანეს იერიში გადოძიაპუძსა და ტანჩტუნს მახლობლად, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. იაპონელები გაშმაგებით მიდიოდნენ იერიში რკინის გზის დასავლეთად და დაიჭირეს ვუჯანლინი, ლინშინპუ და შახეპუ. იაპონელების მარჯვენა ფრთემ ხუნხესთან რუსები ჩრდილოეთისკენ გადარეკა. იაპონელები განუწყვეტლივ მიდიან იერიშით რუსების სიმაგრეებზე ჯანტანიდან სიაოიანტაიმდე და მუკდენს რკალსავით გარს ერტყმიან. იაპონელების ბანაკიდან მუკდენამდე 15 მილის მანძილი-ღაა. მოკლულ და დაჭრილ რუსების რიცხვი მეტად დიდია. ტყვია-წამალიც ძალიან ბევრი დახარჯეს.

**ტოკიო,** 18 თებერვალი. ექსპერტებმა გასინჯეს პორტ-არტურში ჩაღუპული გემები, და იმ აზრს დაადგნენ, რომ ზემოდან კი არა, წყალში გამსკდარ ყუმბარებით არის დაზიანებული. იაპონიის მთავრობამ დოკები გაადიდა კურესა და ნოვოჩუკში, სადაც ზედამხედველებად ინგლისელები არიან.

**ტოკიო,** 19 თებერვალი. იაპონიის ესკადრა ინდოეთის ოკეანეზე გაეიდა საზვერად.—იაპონელების რაზმმა, რომელიც განაპირა მარცხენა ფრთეს აწვებოდა რუსების პოზიციები დაიჭირა ცინხენჩენთან, მაძიადანზე წავიდა და ეხლა რუსებს მუკდენის გზის გადაჭრას უპირობს. გაზეთი „ასახის“ კორესპონდენტი ამბობს, განაპირა მარჯვენა ფრთეზე მყოფი იაპონიის ლაშქარი შახეზე მყოფ ლაშქარს შეუერთდებაო. საერთო წინსვლას უნდა მოველოდეთ. იაპონელების ანგარიშით, კუროპატკინის ლაშქარი ორჯერ მეტი უნდა იყოს იმ რიცხვზე, რომელიც აქაურ ევროპიელებს აქვთ გამოანგარიშებული. რუსებს ჰყავთ 339,600 ქვეითა ჯარის კაცი და 35,340 არტილერისტი. სულ ეყოლებათ, სადარაჯო ჯარებიც რომ ვიანგარიშოთ, 700,000 მეომარი და 180,000 ცხენიო.—ხუნხეზე ყინული დადნა.—20 თებერვალს, სეიკახუს აღების შემდეგ, იაპონელების მარჯვენა ლაშქრის ძლიერი რაზმი ჩრდილოეთისაკენ გაეჩქარა. ცხარე ბრძოლები მომხდარა. იაპონელებს რამდენიმე იერიში მიუტანიათ, იბრძოდნენ თავგანწირულად, მაგრამ დიდათაც დაზიანდნენ. პოლკოვნიკი ხიმადა მოკლულია, პოლკოვნიკი კავახი მსუბუქად დაჭრილი, ოცი სხვა აფიცერი და 500 დაბალი ჯარის კაცი მოკვდა და დაიჭრა. 30,000 რუსმა უკან დაიწია. ამბობენ, 10,000 რუსი ლეოპენთან არისო, 25 მილის სიშორეზე სინმინტინიდან.—200 ტყვედ წაყვანილი რუსი ოსაკაში გაპარვას სცდილობდა თურმე, მაგრამ იაპონელებმა გაუგეს. რუსების წამქეზებელი ფელდფებელი ყოფილა.

**ლონდონი,** 20 თებერვალი. იაპონიის მისსიამ ოფიციალური დეპეშა განაცხადა, იაპონელებმა რუსების მოსაგერებელი სიმაგრეები დაიჭირეს და რუსებს მისდევენო. იაპონელები ეხლა გამაგრებულნი არიან მაძიპუდან მოკიდებული მუკდენის სამხრეთ-დასავლეთად, 15 მილის სიშორეზე, ლაძიაპუმდე, მუკდენის დასავლეთად, 13 მილის მანძილზე და ლამუხამდე, ლაძიაპუს ჩრდილოეთად, სამის მილის მანძილზე.

**სინმინტინი,** 18 თებ. იაპონელების უმთავრესი რაზმები ჯერ ქალაქში არ შემოსულან. ჩინელები აქ დამალულს რუსებს დაეძებენ. იაპონელები, როგორც ეტყობა, მაშველ ჯარს ელოდებიან. 30,000 რუსი, ამბობენ, ლიაოხეაო. მალე დიდ ბრძოლას მოელიან,

**შანჰაი,** 18 თებ. სანდო წყაროებიდან იუწყებიან, იაპონელები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ პორტ-არტურიდან დიდი ზარბაზნები გადიტანონ ოიამას ლაშქარს. იაპონელებს 100 დიდი ზარბაზანი ექნებათ რუსების შუბლის საწინააღმდეგოდ და იმავე დროს ნოძუ და კუროკი ეცდებიან რუსების მარცხენა ფრთეს შემოუარონ. არტილერიის საშინელი შეტაკება იქნება, რომლის მზგავსი არაოდეს არა ყოფილა. ლიაოიანის გამაგრება გაუთავებიათ. იაპონელებს ომის ველზე 500,000 მეომარი ეყოლებათ. ყოველ ღამე იაპონიიდან ახალი ჯარი იგზავნება მანჯურიისკენ, კორეის ჩრდილო ნაწილში ეხლაც 20,000 რუსია. იაპონელები მეხუთე ლაშქარს აგროვებენ, რომელშიაც რვა დივიზია იქნება, ანუ 140,000 მეომარი. სამი დივიზია გადაუყვანიათ კიდეც ჩრდილო კორეაში; ამათგან ზოგი ვლადივოსტოკისკენ წავა და ზოგიც რუსების მარცხენა ფრთებს გარშემოუვლის მანჯურიაში. ხაკოდატეში ესკადრა მოგროვდა, რომელშიაც ორი ჯავშნოსანია, ორი ჯავშნიანი კრეისერი და 16 ნაღმის მმუსვრელი და მომხმარე კრეისერები.

**გონგკონგ.** (ნიპონ მარუ. კუნძულ ფორმოზაზე დიდი საწყობები გამართეს ქვა-ნახშირისა. პირტი ნაღმით არის მოცული. იაპონიის გემმა გადიტანა ორთქლ-მავალები და რკინის გზის მასალა კორეისთვის,—60 დიდი კრუპის მორტირი იაპონიიდან შახეს გაგზავნეს. ჩინეთის მთავრობამ ერთ უცხოელ ფირმას შეუკვეთა ორ მილიონ ტაელად ღირებული თოფ-ზარბაზანი და სხვა იარაღი

**ტოკიო.** იაპონიის ფინანსების გამო ამბობენ, ოქროს ფული იაპონიაში შემცირდა და მთავრობა ცდილობს გარედ აღარ გაატანინოსო.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა, 20 თებერვალის თარიღით: მუკდენის დასავლეთად ფრონტზე ღამემ მშვიდობიანად გაიარა. ამ ფრონტის მარცხენა ფრთეზე, ხუნხეს მარჯვენა ნაპირს, სოფელ მადიაპუს წინ, იაპონელები დღეს დილით ცხარეთ წამოვიდნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ ბრძოლა ექვსის ვერსის მანძილზე იყო. მადიაპუს ჩრდილოეთად ბრძოლა სანუგეშოდ მიდის. ყველა მხნედ არის. შუბლის ტარს თავისი პოზიციები უჭირავს შახეზე სახეპუმდე. ნოვგოროდისა და პუტილოვის მაღლობებზე იაპონელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. დილით ჩვენც იერიშით მივეგებეთ და ორი ტყვიის მფრქვეველი წავართვით. ერდაგოუს მიდამოში იაპონელებმა საღამოს 9 საათზე დაიწყეს იერიში და მთელ ღამეს მოიწევდნენ; მდინარე შახესთან სამთო ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლებიც მოიტანეს. დილამდე იერიშები მოვიგერეთ. გაუტულინის პოზიციაზეე შუაღამისას მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუიქცა. განაპირა ფრთის რაზმებმა ღამე მშვიდობიანად გატარეს.

**ოქუს უმთავრესი ბანაკი.** იაპონელებმა რუსების მარჯვენა ფრთეზე მეორე მოსაგერებელი სიმაგრეებიც დაჰყარეს და ხუნხეს დასავლეთ ნაპირამდე ავიდნენ, ჯანტანის ჩრდილოეთად.

**კუროკის ლაშქარი** (რეიტერი), 17 თებ. იაპონელები ვაიტოშანიდან შახეზე გადიარეს. დიდი რაზმი რუსების ბანაკამდე მივიდა, მაგრამ დაცლილი დახვდა. მარჯვენა ფრთეზე მეორე რიგის სიმაგრეებზე კი რუსები მტკიცედ დაუხვდნენ, თუმცა იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს. რუსებს ჯერ არ მიუტოვებიათ უმთავრესი სიმაგრეები რკინის გზის აღმოსავლეთად, შახეს გასწვრივ. უმთავრესი სიმაგრე რუსებს ვაიტოშინის მთაზე აქვთ და მახლობელ სერებზე. ამ სიმაგრეებს იაპონელები დიდ ზარბაზნებს ესვრიან. კუროპატკინმა შეაგროვა ჯარი მარცხენა ფრთეზე, რომ მტერმა ზურგიდან არ მოუაროს. იაპონელებმა დაამარცხეს ორი დივიზია მეათე კორპუსისა ხუნხეს ახლო. საზარელი ბრძოლა იყო. იაპონელებს დიდძალი სამხედრო ნადავლი ერგოთ.

**გონკონგ,** 19 თებ. გონკონგის სამხრეთ-აღმოსავლეთად ასი მილის სიშორეზე, გერმანელმა გემმა „ნუბიამ“ ორი იაპონიის ესკადრა შენიშნა, ერთში 9 გემი იყო, მეორეში—13.

**ტოკიო,** 20 თებერ. ამბობენ, ჩინეთმა პროტესტი განუცხადა იაპონიას იმის გამო, რომ სინმინტინში შესვლით ნეიტრალიტეტი დაირღვაო. აქ ჰფიქრობენ, მთავრობა უპასუხებს, რუსების საქციელმა აიძულა ასე მოქცეულიყო თავის ინტერესების დასაცველადო.

**მუკდენი,** 21 თებ. იაპონელები დღესაც იერიშით მოდიოდნენ ჩვენს ფრონტზე სხვა და სხვა ადგილიდან, მაგრამ ყველგან მოგერებულ იქმნენ. უფრო ცხარე ბრძოლა მადიაპუსა და ნიუსინტუნის შორის იყო ამ დილით. შემდეგ საღამომდე სროლა იყო ორთავ მხრიდან სალინპუსთან. იაპონელებმა მხნედ წამოიღეს იერიში ელტხაიესთან, მადიაპუს სამხრეთად, ხუნხეს მარცხენა ნაპირს. შუაგულშიაც იაპონელები წინ მოიწევდნენ სახეპუს დასავლეთად. ჩვენებიც იერიშით მიეგებნენ პუტილოვის სერის აღმოსავლეთად და ასამდე დაატყვევეს. მარცხენა ფრთეზე იერიში მოჰქონდათ კანდოლისანთან და რენენკამფის რაზმზე. თუმცა ყინვაა, მაგრამ განაპირა მარცხენა ფრთესთან 11 თებერვალს დაწყებული ბრძოლა მთელს ფრონტს მოედო, 120 ვერსის მანძილზე, მუკდენამდე, და უფრო ცხოველდება. იაპონელები მრავლად იხოცებიან. ჩვენი დანაკლისი დაჭრილებით შეადგენს 15,000.

**ნიუ-ჯუან,** 19 თებ. (რეიტ.). 18 თებერვალს იაპონიის მოწინავე რაზმები ლიაოპენთან რუსების სადარაჯო რაზმებს წააწყდნენ, რომლებიც თანდათან მუკდენისაკენ იწევდნენ, რადგან მუკდენზე თავდასხმისა ეშინიანთ. იაპონელებმა 30 ზარბაზნით ასტეხეს სროლა. რუსებმა ტელინისაკენ დაიწიეს. ამბობენ, რუსებმა მუკდენში სადგური და სურსათის საწყობები გადასწვესო. მუკდენის დაცლას ემზადებიან. იტყობინებიან, რუსებმა მარცხენა ფრთეზე გაიმარჯვესო,

**ტოკიო,** 20 თებ. იაპონელებმა გეიკაო აიღეს და ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, რამდენიმე იერიში მიიტანეს და გაჭირებულ მდგომარეობიდან გამოვიდნენ, თუმცა დიდი ზიანი მიეცათ. ამბობენ, 10,000 რუსი ლიაოტეპშიაო, სინმინტინის სამხრეთად, 25 მილის სიშორით. იაპონიის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა ჩინეთს იმის გამო, რომ ჩინელი ჯარის კაცები რუსებსა შველოდნენ ლიაოხეს დასავლეთად. იაპონიის ესკადრა ინდოეთის ოკეანეზე დაცურავს.

**ჰელსინფორსი.** ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს წარუდგა დეპუტაცია ფინთა ერის სხვა-სხვა წოდებისა აბო-ბერნებორგის გუბერნიებიდან. დეპუტაცია უერთდება ერობათა უქვეშევრდომილეს პეტიციას და აცხადებს მთელ ფინთა [illegible] ტიცია უმოწყალესად შეწყნარებულ იქმნას, რადგან ეს ერთად ერთი საშუალებაა აზრთა მღელვარების დასაწყნარებლადო. უმთავრეს მწვავე საკითხად, დეპუტაციის აზრით, სამხედრო ბეგარაა. გენერალ-გუბერნატორმა უპასუხა, სამწუხარო მოვლენანი, რომლებმაც დაარღვიეს აწინდელი ცხოვრება, აბრკოლებენ დეპუტაციის მიერ გამოხატულ სურვილების განხორციელებასო. განწმუნებთ, საზოგადო მყუდროება რომ არ დარღვეულიყო, რასაც თვით ერის კეთილგონიერი ნაწილიც არ მოიწონებს, უფრო ბევრი რამ გაკეთდებოდა თქვენის სურვილისამებრო. სამხედრო ბეგრის შესახებ გენერალ-გუბერნატორმა სთქვა, ამ საგანს განიხილავს რუსთა და ფინთა საზოგადო მოღვაწეებისა და სწავლულთა კომისია, რომ საქმე მოეწყოს ფინთა ცხოვრებასთან შეთანხმებით. შესაძლოა, მომავალმა სეიმმა 1906 წელს სასურველად დაასწორებინოს სამხედრო ბეგრის საქმე.

**ბათუმი,** 20 თებ. სომხის ეკკლესიაში პანაშვიდი რომ გათავდა ბაქოში მომხდარ უბედურობის მსხვერპლთა მოსახსენებლად, გალავანსა და ქუჩაში მრავლად შეკრებილ ხალხში არეულობა მოხდა და სროლაც ასტყდა რევოლვერებით. ხალხს შიშის ზარი დაეცა. ჯარი მოიწვიეს და ქუჩებში ჩააყენეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

### გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 (წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით ქვისა, სადურგლო და სხვა სამუშაოები ერთად ან ცალკ-ცალკე, რაც-კი მ. ო. არამიანცის სახელობაზე ავლაბარში ასაგებ საავადმყოფოს პავილიონის აგებას მოუნდება. სატეხნიკო აპირობები, ხელშეკრულობა და ხარჯთ-აღრიცხვა მსურველს შეუძლიან გასინჯოს ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, დილის 11-დან 3 საათამდე. წერილობითი განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებში და კვიტანციები ქალაქის კასსაში ბეს წარდგენის შესახებ უნდა შეტანილ იქმნას ქალაქის გამგეობაში დაბეჭდილ კონვერტით 3 მარტის ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—6.—2)